რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 11 ივლისი 1917 წ.

ერთობა

„თანამედროვე აზრის" გაგრძელება

ფასი 10 კაპ.

გაზეთის ფასი: მთელი წლით—20 მ., ნახევარი წლით—11 მან., 3 თვით 6 მან. ერთი თვით—2 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ. და საზღვარგარეთ ორჯელ მეტი. განცხადების ფასი: პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი—80 კაპ. მეოთხე გვერდზე—15 კაპ.; სამგლოვიარო განცხადება არა ნაკლებ 5 მანეთი ნიშანი ორის მეორე—6 მანეთი. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ სტატიებს რედაქცია არ ინახავს ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას გასწევს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почт. ящ. 199. Власію Малакіевичу Вохохадзе. სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 ს-დე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პრ. № 12. (Тифлисъ Головинскій пр. № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 93 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 93

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხანაგებო, შეგვაძენიეთ **პარტიული სტამბა.** პარტიას უნდა ქონდეს საკუთარი სტამბა.

ღრმათ დამწუხრებული თავადი ივანე სიკოს ძე ერისთავი, აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ სამშაბათს, 11 ივლისს, დღის 12 საათზე დ. ჩოხატაურში წმინდა გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასის მეუღლის

დესპინე წულუკიძის ასულის კნეინა ერისთავის

სულის მოსახსენებლათ.

მიხეილი ოსიაძე მეუღლითურთ და შვილები მათი: ნინა, ცეცე და ევგენი ოსიაძენი ღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ პირველნი საყვარელი შვილისას და მეორენი ძვირფასი დისას

ნადიკო მიხეილის ასულის კოზახიძისას

გარდაცვალებას, დაკრძალვა მოხდება დღეს 11 მკათათვეს, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. გამოასვენებენ ფომინოვის ქ. № 19.

შემოწირულება
მუშ. დეპ. სათემო ცენტრის სასარგებლოთ

მიიღება სასახლეში, სპარსულ ზალაში დილ. 10—2 ს. და საღ. 6—9 ს.

მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტის

მუშათა სექციის კრება

დანიშნულია სამშაბათს, 11 ივლისს, საღამოს 7 საათზე, სასახლეში.

დღის წესრიგში მეტად საყურადღებო და გადაუდებელი საკითხებია გასარჩევი.

ვსთხოვთ ამხანაგებს ნუ დაიგვიანებენ. პრეზიდიუმი.

გამომძიებელი კომისია
მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

რომლის მიზანია გამოიძიოს 1917 წ. 25 ივნ., ნაძალადევის მიტინგზე მომხდარი ინციდენტი სთხოვს ყველა იმ პირთ და ორგანიზაციებს, რომელთაც კი რაიმე ცნობა მოეპოვება ამ ინციდენტის შესახებ, მიბრძანდნენ და შეატყობინონ ყოველივე ზემო აღნიშნულ კომისიის თავმჯდომარეს ან და მორიგე წევრს.

კომისიის მისამართი: თფილისის კადეტთა კორპუსი, გოლოვინის პროსპექტი.

ცნობის მიწოდება შეიძლება დილ. 10—12 საათამდე და საღამოს 4—6 საათამდე.

თფილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობისაგან

სავალდებულო დადგენილება

სასურსათო ორგანოების შესახებ დროებითი დებულების მე-13 მუხლის ძალით და თანახმად სასურსათო საქმეთა მინისტრის დეპეშისა № 18192, სპეკულიაციის მოსასპობათ, თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად აკრძალულია გატანა, როგორც ქალ. თფილისიდან ისე თფილისის გუბერნიიდან ყოველივე სამანუფაქტურო საქონლისა (ჩითისა, მატყლისა და მაუდისა).

გამგეობის თავმჯდომარე ნ. ელიავა.

1—1 მდივანი ი. გლოტოვი.

თფილისის საგუბერნიო სასურსათო გამგეობისაგან

ვაცხადებთ ყველას საყურადღებოთ, რომ ქ. თფილისიდან გატანა ჩაისა, საპნისა და თამბაქოსი თფილისის საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის ნებადაურთველად აკრძალულია.

გამგეობის თავმჯდომარე ნ. ელიავა, მდივანი ი. გლოტოვი.

სავალდებულო დადგენილება

1) კლუბები, რესტორანები, სასადილოები, „დუქანი ჩაი" და სხ. უნდა დაიხუროს არა უგვიანეს ღამის 1-საათისა.

2) აკრძალულია კლუბებში ლოტოსა და სხვა ყოველივე თავდაუჭერელი თამაში.

3) აკრძალულია აგრეთვე თამაში რესტორანებში, სასტუმროებში, ნომრებში და ცალკე კაბინეტებში, (ამ კანონის დარღვევის დროს პასუხისმგებელნი არიან თვით დაწესებულების პატრონნი).

4) აკრძალულია ტრამვაის გაჩერება: ა) რუსეთის კლუბთან, ბ) თფილისის კლუბთან, გ) თფილისის საკრებულოსთან და დ) არტისტიულ კლუბიდან ტრამვაის შეჩერება გადატანილია ქ. ენიევის ქ. ბოლოში.

ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შედის 9 ივლისიდან.

9 ივლისი 1917 წ. თფილისი.

თფ. მ. და ჯ. საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.
ქალაქის მილიციის უფროსი კაჩუხოვი.

კავკასიის ექიმის თანაშემწეთა (ფელდშართა) პროფ. კავშირის გამგეობა

ამით აუწყებს თავის წევრთ, რომ 13 და 14, საღამოს 7 საათზე კადეტთა კორპუსის შენობაში (შესავალი გოლოვინის პროსპექტიდან)

მოხდება ყრილობა

გასარჩევია შემდეგი საგნები: 1) მომავალი საგუბერნიო საექიმო ყრილობა, 2) არჩევნები წარმომადგენლების მუშათა საბჭოში, 3) დაარსება დამხმარე კასის, 4) დაარსება შრომის ბიუროსი, 5) მიმდინარე საკითხები.

გამგეობა სთხოვს წევრთ არ დაიგვიანონ. 1—1

თფ. საქონლის სადგურში

იყიდება სხვა და სხვა ბროშიურები
გამოცემა სათლქო კომიტეტისა.
მსურველს შეუძლია მიმართოს
ხაშა ჩიგოგიძეს.

---

6 ივლისს, თფილისიდან ბორჯომში მიმავალ მატარებელში № 12

დ ა მ რ ჩ ა

ერთი შეკვრა საშინაო ნივთებისა, რომელშიაც იყო რკინის-გზის სამ. მოცემული მოწმობა და სურათი, მპოვნელს ვსთხოვ დამიბრუნოს უკან სურათი და მოწმობა, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს. ჩემი ადრესი: თფილისი, საქონლის სადგური, არჩილ გაბრიელის ძე ზუბაძეს.

ქუთაისი

ექიმ გ. ი. გოკიელის

ელექტრონისა და სინათლის სამკურნალო კაბინეტი, შინაგანი ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფთათვის, ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 ს. საათამდე

ექიმი გ. გ. მუხაძე

იღებს [illegible] ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 61; ოლღინსკის გაყოლებით ხაზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ქუთაისში

ექიმი **ვალერიან ლორთქიფანიძე**

იღებს შინაგან, ბავშვთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. დილის 11—2 საათამდის, საღამოს 7—9 საათამდე, პუშკინის ქუჩა, ვიტუშინსკი სახლში.

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნახ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზმენის ქუჩა, № 19.

ექიმი კ ი ბვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 6—7 ს., კვირა დღის გარდა.

შუნიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] პირდაპირ. ტელეფ. 15—00.

საოლქო კომიტეტის გამოცემანი.

(საწყობი კომიტეტის ბიურო, გოლოვინის პროსპ. № 12).

1. ს. დ. პ. პროგრამა ქართულათ	10 კ.
2. ს. დ. პ. პროგრამა რუსულათ	10 „
3. ს. დ. პროგრამა სომხურათ	10 „
4. ს. დ. პროგრამა თათრულათ	10 „
5. მუნიციპალური პროგრამა რუს.	5 „
6. მუნიციპალური პროგრამა ქართ.	5 „
7. ძირს სოც. დემ. ბრაკები რუს.	20 „
8. სოც.-დემ. და ქალაქის თვითმართველობა რუსულათ	20 „
9. ეგეგე წიგნაკი ქართულათ	20 „
10. ოთხი ძმა ქართულათ	35 „
11. კომუნისტური მანიფესტი რუს.	20 „
12. კომუნისტური მანიფესტი ქარ.	25 „
13. დემოკრატიული რესპუბლიკა ქარ.	25 „
14. დამფუძნებელი კრება რუსულ.	25 „
15. ნ. ჟორდანია—ნაც. კითხვა ქართ.	30 „

იბეჭდება და მალე გამოვა:

1. რა უნდათ სოციალ-დემოკრ. რუსულათ.
2. დამფუძნებელი კრება თათრულათ.
3. საფრანგეთის ისტ. 1848 წ. ნ. ჟორდანიასი.

თფილ. ორგან. რ. ს. დ. მ. პ. ბიუროები
მოთავსებულია:

1) პირველი რაიონი: ნაძალადევში, ბოტეს სახლში, ღიაა დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათამდე.

2) მეორე რაიონი: სახალხო სახლი. ღიაა დილის 10—2 საათამდე და საღ. 5—8 საათ.

3) მესამე რაიონი: ავლაბრის კლუბში, (კახეთის ქუჩა № 1), ღიაა საღამოს 5—7 საათ.

4) მეოთხე რაიონი: ქალთა პირველი გიმნაზია, (ლორის მელიქოვის ქუჩ.) ღიაა 10—3 და 5—7 საათამდე.

ბ ი უ რ ო

თფილისის კომიტ. რ. ს. დ. მ. პ. მოთავსებულია გოლოვინ. პროსპ. № 12. ღიაა დილის 9—2 საათ. საღამ. 5—8 საათამდე.

ბ ი უ რ ო

ალექსანდროპოლის კომიტეტისა რუს. ს.-დ. მუშათა პარტიისა მოთავსებულია მუშათა სახლის ბინაზე ალექსანდროპოლის ვაგზალთან. ბიურო ღიაა დილის 10—12 ს. და საღამოს 4—6 საათამდე. აქვე მიიღება ახალი წევრები.

კავკასიის მუშათა და გლეხთა საბჭოების ცენტრის კანცელარია მოთავსებულია სასახლეში (სპარსულ დარბაზში).

კანცელარია ღიაა დილის 10—2 ს. და საღ. 6—8 ს.

რუსეთის რევოლიუციის მოღალატენი.

რუსეთის რევოლიუციას შიგნიდან და გარედან თავს ესხმიან; რევოლიუციის გაღრმავებას საფრთხეში აყენებენ და ყველა კონტრ-რევოლიუციონური ძალები ამოძრავდენ. ბურჟუაზიის მხარში ამოუდგნენ ზოგიერთი უპასუხისმგებლო მემარცხენეები—რუსეთის რევოლიუციის შინაური და გარეული მტრები მოძრაობაში მოიყვანეს და რუსეთის რევოლიუციის ცენტრი პეტროგრადი მთელი რამდენიმე დღის განმავლობაში განსაცდელში იყო, ქუჩებში უმანკო სისხლი იღვრებოდა და რევოლიუციონურ ორგანოებს ბნელი ძალები ალყას არტყამდენ.

განატონებული კლასების კონტრ-რევოლიუციონური მოძრაობა თავის-თავად საგულისხმოა, მისი წარმოშობა პროლეტარიატისა და საზოგადოთ დემოკრატიის გაფართოებული პოლიტიკური და ეკონომიური მოთხოვნების აუცილებელი შედეგია. აქ წარმოუდგენელი და მოულოდნელი არაფერია.

მაგრამ, როცა მათ ასეთ მისწრაფებას „მემარცხენე" მიმდინარეობის ლიდერები თავიანთი მოქმედებით შეგნებულათ თუ შეუგნებლათ კონტრ-რევოლიუციას აწარმოებენ და მით ბურჟუაზიას გვერდში უდგებიან,—ეს ცოდვაა. ანარქო-სინდიკალისტებმა, ძველი ტიპის ბლანკისტებმა თავიანთი ფსევდო-სოციალისტური მიზნების განსახორციელებლათ გარეშე მტრის ძალების გამოყენებაც დაიწყეს და ამ მიზნისათვის იმათ გერმანიის სამხედრო შტაბისა და გერმანიის მთავრობის აგენტებთან კავშირი გაუკეთებიათ, სასყიდელი აუღიათ და მათი ფინანსების დახმარებით პეტროგრადში ორგანიზაციული აჯანყება მოუწყვიათ.

მათი ასეთი პროვოკატორული და მოღალატობრივი მოქმედება უკვე დამტკიცებულია და ლენინ-ზინოვიევს, კამენევისა და ტროცკის დაპერის ორდერი გამზადებულია.

მოღალატეობამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, დანაშაული რევოლიუციის და თავისუფალ რუსეთის ხალხის წინაშე აუწერელია. ლენინმა და მისმა ამყოლ-დამყოლებმა ტარტაროზ-მეფისტოფელის როლი ითამაშეს და მთელი რევოლიუციის ხანაში ხალხის თავისუფლებას სდევნიდენ, გერმანიისა და რუსეთის ბნელ ძალებს იამარებდენ და რევოლიუციას ძირს უთხრიდენ. პროვოკაციულისა და დემაგოგიურ აგიტაციის მეოხებით ფრონტზე და ფრონტის ზურგს უკან მდგომ ჯარში წარმოუდგენელი დეზორგანიზაციული საქმე დაიწყეს და ნაკლებათ გათვითცნობიერებული ძალები მათი აგიტაციის მსხვერპლი გახდენ.

ოფიციალური დეპეშების ცნობით დასავლეთ ასპარეზზე რუსეთის ჯარის ფრონტი გაარღვიეს, ჯარმა ბრძოლის უნარი დაჰკარგა და ისინი მასიურათ უკან გამორბიან, უბრძოლველათ მთელს გალიციას სტოვებენ და ყველაფერს ვილჰელმისა და ავსტრიის ჯარს უტოვებენ.

ვილჰელმის იმპერიალიზმმა უმაღლეს საფეხურს მიაღწია, რუსეთის რევოლიუციონური არმია ამ რეაქციისა და ბარბაროსულ ბატონობის მოციქულს ყველაფერს უტოვებს და მას საშვალებას აძლევს, როგორც გერმანიაში,—ისე რუსეთში შავბნელი პოლიტიკური და ეკონომიური პირობები გამეფოს.

გერმანიის იმპერიალისტებმა საწადელს მიაღწიეს; უმეცარი აგიტაციის მეოხებით რუსეთის ჯარმა მოგერიებითი ბრძოლის უნარი დაკარგა და მით რუსეთის რევოლიუცია საფრთხეშია.

მოგერიებითი ბრძოლა რუსეთის „მემარცხენე" მიმდინარეობამ უარყო, მან ამაში პროლეტარიატის მოღალატეობა დაინახა, მათ დაივიწყეს მარქს ენგელსის შეურყეველი შეხედულება, როცა ისინი გერმანიის პროლეტარიატს 1871 წ., როცა საფრანგეთის ჯარი ელზას-ლოტარინგიას შეესივნენ სამშობლოს დაცვას ურჩევდენ, ხოლო როცა გერმანიის ჯარმა საფრანგეთის ტერიტორია გადალახა, მაშინ იგივე მარქსი და ენგელსი საფრანგეთის მუშათა კლასს თავდაცვისაკენ მოუწოდებდა. მაგრამ არც ისტორიული გაკვეთილები, არც პროლეტარიატის საუკეთესო ხელმძღვანელების მოწოდება-შეხედულებანი უპასუხისმგებლო ლენინისთვის და მის მიმდევრებისათვის ანგარიშში მისაღები არ არის და ისინი გერმანიის აგენტების მეოხებით თავისუფალ რუსეთს მტრის კლანჭებში აგდებენ.

მათ დაავიწყებიათ, რომ ვილჰელმის ამა თუ იმ გზით გამარჯვება, ეს მთელ ევროპაში და განსაკუთრებით იმპერიალიზმის გამარჯვებას ნიშნავს და საერთაშორისო დემოკრატიის დასუსტება აუცილებელი საქმეა. მაგრამ რუსეთის რევოლიუციონური კლასები და მათი ორგანოები ყოველ ღონეს მიიღებს შინაური თუ გარეული მტერი მოიგერიოს, განსაცდელი თავიდან აიცილოს და მათ რევოლიუციის გამარჯვება მკვიდრ ნიადაგზე დააყენოს. ლენინისა და მისი მიმდევრების ავანტიურა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ სამარცხვინო ბოძზე უნდა გააკრას და მათსა და ბურჟუაზიის მოქმედებას კონტრ-რევოლიუციის დაღი დაასვას.

პ რ ე ს ა.

„კავკაზსკი რაბოჩი" კვირის ნომერში ეხება კადეტი მინისტრების სამინისტროდან გასვლას, რაიც უკრაინის საკითხმა გამოიწვია და სწერს:

„სამინისტროდან გაქცეულმა მინისტრებმა საქმის საბოლოოთ გადასაჭრელათ **კონტრ-რევოლიუციას მიმართეს.** კონტრ-რევოლიუციამ კი, თავხედურათ წამოყო თავი. პროლეტარიატმა და ჯარმა რევოლიუციონური ინსტიქტით სწორათ ასწონ-დასწონეს მომენტი და **რევოლიუციის დასაცავათ ქუჩებში გამოეფინენ.** მათ მოსთხოვეს თავიანთ რევოლიუციონურ ორგანოებს—მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებს—მთავრობის ძალა-უფლება ხელში აეღოთ და რევოლიუციონური ხალხის მეთაურობა ეკისრათ კონტრ-რევოლიუციის დასათრგუნავათ. საბჭოებმა ვერ გაიგეს მომენტის **სიდიადე, რომ რევოლიუციონურ სტიქიას სათავეში ჩასდგომოდენ** და ის შეკავშირებული კონტრ-რევოლიუციას წინააღმდეგ მიემართათ. ნაცვლათ ამისა, თითონ დაუპირდაპირდენ ამ სტიქიას, როგორც მტრული ძალას და ამით დიდი შეცდომა ჩაიდინეს. **ამის საპასუხოთ სტიქია** კიდევ უფრო გაბოროტდა და კიდევ უფრო ძალდატანებას მიმართა. ამას მიემატა ის გარემოება, რომ **კონტრ-რევოლიუციონური ძალები აშკარათ ამუშავდენ** და შეეცადენ ხალხის მასსიური მოძრაობა თავიანთ სასარგებლოთ გამოეყენებიათ. საბჭოების ბელადებს კი, მენშევიკებს და ესერებს, სრულიად აერიათ დავთარი". (ხაზი ყველგან ჩვენია).

რას გვეუბნება ეს ამონაწერი? თითქოს კადეტების სამინისტროდან გასვლას კონტრ-რევოლიუციონერთა ამოძრავება მოყოლოდეს. ეს არ არის მართალი. საქმე ასე იყო: კადეტების სამინისტროდან გასვლის საკითხს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები არჩევდენ. „ბოლშევიკების" მეთაურობით ჯარის და მუშების შეგნებული ნაწილი გამოვიდა ქუჩაში, რომ ძალა დაეტანებინა საბჭოებისათვის, რათა მათ ხელში აეღოთ მთავრობის მთელი ძალა-უფლება, რასაც „ბოლშევიკები" მოითხოვდენ რევოლიუციის პირველ დღიდანვე. და აი, ამ შეგნებულ მუშებისა და ჯარის მცირე ნაწილს, „ბოლშევიკების" მეთაურობით გამოსულს, გამოჰყვა ქუჩაში ძველი წესწყობილების დამცველთა დიდი ნაწილი, რომელშიაც ჩვენი „ბოლშევიკები" გაჰკრეს ვით თოვლი გაზაფხუ-

საერთაშორისო ომი

დასავლეთის ასპარეზზე, მთელ გალიციის ფრონტზე რუსეთის ჯარს განსაკუთრებით მეთერთმეტე არმიას დიდი უბედურება დაატყდა თავს. აქ მტერმა მედგრათ შემოუტია და მიუხედავათ იმისა, რომ რუსის ჯარი რიცხვით და შეიარაღებით მოწინააღმდეგის ჯარს აღემატებოდა, ბრძოლის ველი მიატოვა და უწესრიგოთ ასი ვერსის მანძილით უკან დაიხია. თითქმის მთელი არმია უთავბოლოთ უკან გამორბის და ყველაფერს მტერს უთმობს. უპასუხისმგებლო დემაგოგიამ თავისი გაიტანა, ისედაც ბრძოლის უნარს მოკლებულმა ჯარმა ჯეროვანი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მოწინააღმდეგეს და უკან დაიხია. რევოლიუციონურმა არმიამ ბრძოლის ველი მიატოვა და ამით მთელი რუსეთის თავისუფლებას განსაცდელში აყენებს. დროებითი მთავრობა და რევოლიუციონური ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ ჯარში წესრიგის აღდგენისა და გარეშე მტრის მოგერიებისათვის.

კავკასიისა და რუმინიის ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

საფრანგეთის ფრონტზე გერმანელებს გააფთრებული იერიშები მიაქვთ, მაგრამ ფრონტის ჯარები მტრის იერიშებს იგერიებენ.

ავსტრია-იტალიის ფრონტზე ჩვეულებრივი საარტილერიო სროლაა.

ლისა და შედგა ერთი დიდი ლაშქარი კონტრ-რევოლიუციონერთა, რომელსაც „კავკაზსკი რაბოჩი" „რევოლიუციონურ სტიქიას" უწოდებს. გაზეთის აზრით, საბჭოები ამ კონტრ-რევოლიუციონური სტიქიას უნდა ჩასდგომოდა სათავეში და მიემართა ის... კონტრ-რევოლიუციისავე წინააღმდეგ! ნაცვლათ ამისა, თურმე, როგორც გაზეთი გადმოგვცემს:

„იმათ (ე. ი. საბჭოებმა) დახმარებისათვის მიმართეს მთავრობას, რომელმაც ენერგიული ზომები მიიღო და აღადგინა წესრიგი, რასაც შედეგათ მოჰყვა აჟიტირებული ხალხის დაჭრა დახოცვა და ამასთან ერთად, საალყო წესები, ჩხრეკა-დაპატიმრება და სხ."

დიახ, საჭირო იყო კონტრ-რევოლიუციონური გამოსვლის ძირშივე მოსპობა და ეს ასეც მოხდა! ამასთან, არც ის არის მართალი, თითქოს კონტრ რევოლიუცია დროებით მთავრობას ჩაექროს. აქ დროებითმა მთავრობამ გააკეთა ის, რაც მას მუშათა, ჯარის კაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა უბრძანეს. არც მეტი, არც ნაკლები!

ამის შემდეგ თურმე, როგორც გაზეთი ამბობს:

„საბჭოებმა შეიგნეს თავიანთი შეცდომები. ახლა ისინი დაუპირდაპირდნენ კონტრ-რევოლიუციას, ბურჟუაზიას, დააყენეს კითხვა მთავრობის ხელ-ახლა მოწყობის შესახებ და ამის საბოლოო გადასაწყვეტათ ვადაც დანიშნეს" და სხვ.

გაზეთს თუ დაუჯერებთ, ყველა ეს მოხდა „ბოლშევიკების" ქუჩაში გამოსვლის შემდეგ. არც ეს არის მართალი. მთავრობის ძალაუფლების ხელში ჩაგდების თუ მოწყობის საკითხს ლოდინ რევოლიუციის გამარჯვებისა მუდამ არჩევდა და დღის წეს-რიგში აყენებდა საბჭო და ამ საკითხს სწყვეტდა ხმის უმრავლესობით. უმცირესობა მუდამ ემორჩილებოდა უმრავლესობას, გარდა „ბოლშევიკებისა", რომლებიც ქუჩიდან ძალ-დატანებას ქადაგებდნენ. რევოლიუციის გამარჯვების პირველსავე დღეს შეეძლო მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს სახელმწიფო ძალა უფლების ხელში ჩაგდება, მაგრამ მან ეს არ მოიმოქმედა— ჯერ ეს ნაადრევია. როცა მილიუკოვი და გუჩკოვი სამინისტროდან გავიდნენ, მაშინაც ეს საკითხი დღის წეს-რიგში იყო,—იმ ხანებშიც ნაადრევათ სცნეს. დაბოლოს, სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა წარმომადგენლების ყრილობაზედაც დაისვა ეს საკითხი ივნისის უკანასკნელ რიცხვებში,—მაშინაც ნაადრევათ სცნეს. რას აკეთებდენ ამ ხანებში „ბოლშევიკები"? ქადაგობდნენ გარედან ძალ-დატანებას იმ საბჭოებზე, რომლებშიაც თითონ მუშაობდენ: აწყობდენ ხან აშკარა, ხან „საიდუმლოებით მოცულ" გამოსვლებს; ისინი მუდამ სადღაც მიიჩქაროდენ და, როგორც დავინახეთ, უნებლიეთ კონტრ-რევოლიუციამდე ჩაირბინეს! უკრაინის საკითხის გამო მთავრობაში შექმნილი კრიზისი უნდა განეხილა ჯერ სრულიად რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტებს. არავითარი უფლება არ ჰქონდათ „ბოლშევიკებს" თავიანთი განზრახვები და, ისიც ძალდატანებით, თავზე მოეხვიათ ამ რევოლიუციონური ორგანოებისთვის, მით უმეტეს, მათ მიერ საქმის ყოველმხრივ განხილვა აწონ-დაწონვამდე და თუ ეს „ბოლშევიკებმა" მოიმოქმედეს,—ამით მათ სურდათ დაემტკიცებიათ, რომ მხოლოდ ისინი არიან ჭეშმარიტი რევოლიუციონური სოციალ-დემოკრატები!.. დამტკიცდა კი—სრულიად წინააღმდეგი!

და ბოლოს გაზეთი სწერს:

„იმათ (ე. ი. საბჭოებმა) შეიგნეს, რომ კონტრ-რევოლიუციის საშიშროება დიდია, რომ მისი სათავე „ბოლშევიკებში" კი არა, არამედ—იმ დროებითი მთავრობასა და ბურჟუაზიაშია, რომელთაც ისინი ასე უჭერენ მხარს".

სინამდვილე კი სულ სხვას გვეუბნება: დღემდე არაფერი იმის მსგავსი არ მომხდარა არც ბურჟუაზიის და არც დროებითი მთავრობის გარშემო, რაც ამ უკანასკნელად „ბოლშევიკების" გარშემო მოხდა!..

პეტროგრადის უკანასკნელმა ამბებმა ბევრი რამ გვასწავლეს, „ბოლშევიკები" მაინც ძველებურის კილოთი და იერით განაგრძობენ წერას: იგივე გაზეთი გერმანიის შინაურ საქმეებს ეხება. დასკვნა ასეთი გამოაქვს: გერმანიის კაპიტალისტებს, ბურჟუებს, იმპერიალისტებს ვერაფერი ვერ უშველი. ის სწერს:

„ბატონნო შეიდემანებო! ვერ დაიხსნით დაღუპვისაგან გერმანიის კაპიტალისტებს ისე, როგორც ვერ დაიხსნიან დაღუპვისაგან რუსეთის კაპიტალისტებს ჩერნოვები და წერეთლები".

ამას ეძახის, ალბათ, გაზეთი „რევოლიუციონურ ნაბიჯს" და საქმიან კამათს რა შედეგი მოსდევს ასეთ კამათს! ძველი წყობილების რომელიმე მომხრე პროვოკატორი ან ყოფილი პოლიციელ-ჟანდარმი ჯარში, გინდ ხალხში ახალი მთავრობის, წეს-წყობილების წინააღმდეგ აგიტაციას ეწევა. ის ეუბნება ჯარის კაცებს: სოციალისტმა მინისტრმა ჩერნოვმა, წერეთელმა, კერენსკიმ და სხ. ათ-ათი მილიონი მანეთი აიღეს ბურჟუა-კაპიტალისტებისაგან თქვენი ინტერესების გაყიდვითო. შეუგნებელი ჯარის კაცები ერთმანეთს გადახედავენ და ეტყვიან: ეს სიმართლეა, ამის შესახებ აქ დღეებში სწერდა „ბოლშევიკების" „კავკაზსკი რაბოჩი"-ო. ამის შემდეგ განა ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ? „ბოლშევიკებს" მეტი სარგებლობა მოაქვთ ასეთი ნაწერებით კონტრ-რევოლიუციონერთა შესაკავშირებლათ, ვინემ სოციალისტი მინისტრების ბურჟუაზიულ სამინისტროში მუშაობას!

* * *

პეტროგრადში მომხდარ ამბებს „სარევოლიუციო" პარტიის ორგანო—„სახალხო ფურცელი" კვლავ უბრუნდება და სწერს:

„როცა რევოლიუციონური დემოკრატიის ერთი ნაწილი შეეცადა სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება ხელთ ეგდო და გადაეცა იგი მუშათა და სალდათთა საბჭოებისათვის სიმპტომატიურია. ძველი, კოალიციური სამინისტრო თავის შემადგენლობით თუ სხვა რამ მიზეზით ვერ გაუძლებდა ჯეროვნათ საქმეს და მის მაგივრათ, რომ სათავეში ჩასდგომოდა რევოლიუციონურ მოძრაობას—იგი, პირიქით, უკან რჩებოდა, კუდში მისდევდა".

დღეს ყველამ იცის რუსეთში, რომ არავითარი „ძალა-უფლების ხელთ ჩაგდებაზე და გადაცემაზე" მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსადმი არ შეიძლება ლაპარაკი, ვინაიდან, როცა მოისურვებს ამას საბჭო მაშინვე სისრულეში მოიყვანს. და თუ დღემდე ეს არ მოიქმედა საბჭომ იმით ასაბუთებდა, რომ ჯერ ნაადრევია ასეთი ნაბიჯის გადადგმაო. დღეს, იცოდეს ეს ამის შემდეგ მაინც სარევოლიუციო „სახალხომ"! ერთ დროს თქვენ ხომ დიდი მომხრენი ბრძანდებოდით კოალიციური სამინისტროს შედგენისა? ახლა დარწმუნდით, რომ თავის შემადგენლობით თუ „სხვა რამ მიზეზით", ვერ გაუძლებდა ჯეროვნად საქმეს? რა უნდა იყოს ეს „სხვა რამ მიზეზი" შეიძლება აგვიხსნათ?! განა ასეთი თვალხილული გაკვეთილი იყო თქვენთვის საჭირო, რომ დარწმუნებულიყავით იმაში, რასაც ჩვენ მაშინ ვამბობდით?! და სწორედ ამ თვალხილული გაკვეთილის მიცემით მოუტანა კოალიციურმა სამინისტრომ რუსეთს დიდი სარგებლობა. ბევრს აეხილა თვალი და, მათ შორის, „სახალხოსაც". დაბოლოს ი. ბარათ—ლის პირით „სახალხო" ერთ ახალ ამბავს გადმოგვცემს კადეტების შესახებ:

„ეჭვს გარეშეა, რომ კადეტები არ იყვნენ მებრძოლნი და არას დროს არ სდევდათ მათ რევოლიუციონური სული. გარდა ამისა აღვირაშვებული იმპერიალისტურ დაპყრობითი პოლიტიკას დაადგნენ. სტამბოლის და ბოსფორისაკენ ეჭირათ თვალი".

მაგრამ ყველაზე უფრო „სიუცხოვე" „სახალხოში, შემდეგი ადგილია, სადაც სწერია: პეტროგრადში, „როცა რევოლიუციონური დემოკრატიის ერთი ნაწილი შეეცადა" და სხ. რა საქმეს აკეთებს ამით „სახალხო", „წმინდა" წყლის სოციალისტებს"—ბოლშევიკებისაკენ—მიიწევს!..

* * *

ჩვენსა და დაშნაკელების „ორიზონს" შორის ჩამოვარდნილი კამათის შესახებ „ვოზროჟდენიე" სწერს:

„მთელმა ქვეყანამ იცის, რომ ქართველი სოციალ დემოკრატები საერთაშორისო სოლიდარობის ჭეშმარიტი დამცველები არიან. მცხოვრებლები სწორეთ მათ ირჩევენ მთელი მხარის საქმეების ხელმძღვანელებათ და იმათ ანდობენ საპასუხისმგებლო დაწესებულებებს და ორგანოებს და არა დაშნაკელებს იმიტომ, რომ სოციალ-დემოკრატები თავისუფლებისა და თანასწორობის საუკეთესო დარაჯებათ მიაჩნია ხალხს. ამასთან ერთად, სოციალ-დემოკრატების მასსა სავსებით მომზადებულია ახალი ცხოვრებისათვის, კარგათ შეკავშირებულია ორგანიზაციულათ და კულტურულათაც დაშნაკელებზე მაღლა დგანან, რა თქმა უნდა. დაშნაკელებს კი, მეთაურობის ხელში ჩაგდება შეეძლოთ ოსმალეთის სომხეთში".

ამით გაზეთი დაშნაკელებს ეუბნება: თქვენ მეთაურობის ხელში ჩაგდებას ოსმალეთის სომხეთში ეცადეთ და არა კავკასიაში და ჩვენ კი—კომპლიმენტებით მოგვმართავს—გვაქებს-გვადიდებს. კითხვა იბადება: როდის აქეთ გახდენ ასე საქმიანი სოციალ დემოკრატები „ვოზროჟდენიეს" პირით? დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც „ვოზროჟდენიეს" წინაპრების თვალში ქართველი სოციალ-დემოკრატები „დაკარგულ ხალხათ" ითვლებოდენ. რით აიხსნება აზრთა ასეთი ცვალებადობა? „დრონი მეფობენ"?!.

პეტროგრადის ამბები

9 ივლის აკაკი ჩხენკელმა პირდაპირი მავთულით პეტროგრადიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: დღეს პეტროგრადში სრული სიწყნარეა. ქარხნებში მუშაობენ. ქუჩებში ჩვეულებრივი მოძრაობაა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური კომიტეტი განაგრძობს ბჭობას იმის შესახებ, თუ რა ზომები უნდა იქნას მიღებული შემდეგში რევოლიუციონური წეს-რიგის დასაცავათ. 8 ივლისს ღამის სხდომაზე მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების და სრულიად რუსეთის გლეხთა აღმასრულებელმა კომიტეტებმა საყურადღებო გადაწყვეტილებები გამოიტანეს, რომლებიც მოკლეთ შემდეგში მდგომარეობს: დაუყოვნებლივ განხორციელებულ იქნას ის ღონისძიებანი, რომლებიც მიმართული არიან ძველი წეს წყობილების ჯერ კიდევ გაუუქმებელ დაწესებულებათა გაუქმების შესახებ და ამით მოყვანილ იქნას სისრულეში სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების წარმომადგენელთა ყრილობის დადგენილებანი, რომლებიც მოითხოვენ: რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება-განმტკიცებას, მიწისა და მუშათა საკითხების გადაჭრელათ დაუყოვნებლივ ზომების მიღებას, ადგილობრივი თვითმართველობის მოწყობას, დამფუძნებელი კრების არჩევნებისთვის მზადებას და აგრეთვე სასურსათო საკითხის მოგვარებას. „მენშევიკების" ფრაქციის წინადადებით მიიღეს შემდეგი დამატება: კრებამ მოისმინა ამხ. წერეთლის მოხსენება თავ. ლვოვის სამინისტროდან გასვლის შესახებ და დროებითი მთავრობის მოსაზრებანი ამის შესახებ. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სრულიად რუსეთის გლეხთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების შეერთებულმა კრებამ მიანდო ამხ. მინისტრ-სოციალისტებს სხვა მინისტრებთან შეთანხმებით მთავრობაში ახალი მინისტრების შემოყვანის საქმეში ნაბიჯი გადადგას თანახმად წერეთლის მიერ ნაჩვენები გზისა.

თავ. ლვოვის წასვლა ორ ძირითად საკითხში შეუთანხმებლობამ გამოიწვია: ერთი საკითხი ეხება რუსეთში ახლავე დემოკრატიული რესპუბლიკის აღიარებას, მეორე—მიწის საკითხში იმ ღონისძიებათა დაუყოვნებლივი განხორციელება, რაიც მინისტრმა ჩერნოვმა გამოიმუშავა. თავ ლვოვის წასვლით მთავრობის კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა გუშინდელი დღიდან მინისტრების სხდომა განუწყვეტლივ სწარმოებს. გადაწყდა მთავრობის კოალიციურათ შედგენა ისევ ძალაში დარჩეს. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ, ალბათ, კერენსკი იქნება. შინაგან საქმეთა მინისტრათ წერეთელი აქნება, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრის პორტფელის შენახვით. საბოლოოდ საკითხი ორშაბათამდე არ გადაწყდება.

ლენინის, ზინოვიევის, კამენევის და ტროცკის დაპატიმრების შესახებ ორდერი უკვე ხელმოწერილია. მათ აბრალებენ აჯანყების მოწყობას. გუშინდელი გაზეთ „რუსკაია ვოლია"-ში ბურცევს წერილია მოთავსებული. ის აქვეყნებს სიას, რომელშიაც ათი კაცია ჩამოთვლილი, ზემო დასახელებული პირნი, და მათ შორისაა მ. გორკი. ამ წერილში ბურცევი იმ აზრს გამოთქვამს, რომ დასახელებული პირნი რუსეთის გაბრწნის საქმეს, ემსახურებოდნენ. არავითარი საბუთები ბურცევს არ გამოუქვეყნებია. იმ კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს ლენინის საქმის გამოძიება გერმანიის სამხედრო შტაბთან კავშირის საქმეში და აგრეთვე ფულების მიღების შესახებ გერმანიის მთავრობიდან ჯერ ჯერობით არაფერი არ გამოუქვეყნებია.

——

10 ივლისს, ღამის 2 საათზე პირდაპირი მავთულით ამხ. ა. ი. ჩხენკელმა მიიღო მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტისაგან შემდეგი დეპეშა:

„ესეცაა დავსტოვე მეტათ საყურადღებო სხდომა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტისა. გაარღვიეს ფრონტი. გენერალ კორნილოვის მე-11 არმია დიდათ დაზიანდა, მიუხედავათ იმისა, რომ ჯარი საკმარისი იყო და ტეხნიკურათ კარგათ მოწყობილი. კრიზისი ღრმავდება კონტრ-რევოლიუციონერები აშკარათ იწყებენ მუშაობას. დღევანდელი სხდომა სავსებით ამ საკითხის გარჩევას მოანდომეს. ჩვენ ვფიქრობთ, საჭიროა რევოლიუციონურ მართვა-გამგეობის დიქტატურის გამოცხადება, რომ თავიდან ავიშოროთ არა სასურველი ამბები. მთავრობა რჩება კოალიციონური. კადეტების მარცხნით მდგომი ბურჟუაზიულ ელემენტების მონაწილეობით. მას გადაეცემა განუსაზღვრელი სრული უფლება მართვა-გამგეობის საქმეში. ამ მთავრობამ თავდაცვის კომიტეტის როლი უნდა შეასრულოს და იხსნას ქვეყანა შინაგან და გარეშე მტერთაგან.

დროებითი მთავრობის დღევანდელ დეკლარაციაში აღნიშნულია, თუ რა გზას უნდა დაადგეს შემდეგში რევოლიუციონური მთავრობა. საჭიროა რევოლიუციონურ მთავრობისა და დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოებისათვის მტკიცეთ და გადაჭრით მხარის დაჭერა. ადგილობრივათ კი საჭიროა ენერგიული მუშაობა მასაში, რომ შევაგნებინოთ მას ის საშიშროება, რომელიც მოელის ქვეყანას და რევოლიუციას. და ეს უნდა მოხდეს ქვეყნის შიგნიდან კონტრ-რევოლიუციისა და გარედან განადგურებისაგან დაცვის ლოზუნგით.

დროებით მთავრობაში მომხდარ ცვლილებაზე შემდეგ გაცნობებთ. მინისტრთა თავმჯდომარეთ დანიშნულია კერენსკი, მის მოადგილეთ უპორთფელო მინისტრი ნეკრასოვი; შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობა იკისრა წერეთელმა.

მუშათა და ჯარისკაცთა შორის პეტროგრადში სიმშვიდეა. 3—4 ივლისს მომხდარი ინციდენტის განმეორება შეუძლებელია.

დატყვევებულია კამენევი. დღეს საღამოს უნდა დაეტყვევებიათ ლენინი და ზინოვიევი. ისინი თავის დატყვევებას ცენტრალურ კომიტეტის გადაწყვეტილებით ხსნიან. ცენტრალურმა კომიტეტმა უარჰყო წევრთა ხელშეუხებლობის იდეია, წევრები შეიძლება დაატყვევონ მხოლოდ მთავრობისა და სასამართლოს განკარგულებით. დატუსაღებისათვის საჭირო საბუთები და თვით დატუსაღება ეცნობება პრეზიდიუმს არა უგვიანეს 24 საათისა, პრეზიდიუმს აქვს უფლება საგამომძიებლო მასალის განხილვისა.

რაც შეეხება ცნობას გერმანიის შტაბთან კავშირის შესახებ, გაცნობებთ შემდეგს: ამ საქმის შესახებ გამოძიებას აწარმოებს სასამართლო, ჩვენ ველით ამ საქმის გამო მასალების გამოქვეყნებას დროებითი მთავრობისაგან, მაგრამ მოსალოდნელი არ არის, რომ ეს ცნობები ამ დღეებში გამოქვეყნდეს.

დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ. 7—10 ივლისი).

ჯარზე თავდასხმა პეტროგრადში

პეტროგრადი, 7 ივლისს დღის ორ საათზე ფრონტიდან მოსულ ჯარს ნიკოლაევის რკინის გზის სადგურის ახლოს ტყვიის მფრქვევლები და თოფები დაუშინეს. ვიღაც უცნობმა პირებმა ტრამვაის ერთ ვაგონის სახურავზე ტყვიის მფრქვეველი დადგეს და ჯარს დაუშინეს, თანაც თოფებს ისროდენ. სროლა ასტეხეს აგრეთვე ლიგოვკაზე, პოლტავის, გონჩარნის და კონნის ქუჩებზე შტაბიდან მოსულმა რაზმმა ფრონტიდან მოსულ ჯარისკაცებთან ერთათ გაჩხრიკეს სახლები. ნევის პროსპექტზე სახში № 156 ჯარისკაცებმა იპოვეს ტყვიის მფრქვეველი, იქვე იყო მეზღვაური და მუშის ტანსამოსში გამოწყობილი უცნობი. იმათ დაინახეს თუ არა ჯარის-კაცები, თოფები დაუშინეს. ამის დანახვაზე ისე გაბრაზდნენ ჯარისკაცები, რომ მივარდნენ და ნაფლეთ-ნაფლეთ დაჰგლიჯეს. სროლის გამო მოხდა დატუსაღება, წაართვეს ტყვიის მფრქვეველები, თოფები და ყუმბარები.

რატომ გადადგა მინისტრ-თავმჯდომარე თავ. ლვოვი.

პეტროგრადი. მინისტრ-თავმჯდომარე თავადმა ლვოვმა შეკითხვაზე, თუ რატომ გადადგა ის თანამდებობიდან შემდეგი განაცხადა: დღეს არ შემიძლია დაწვრილებით აღვნუსხო ის მიზეზები, რომლებმაც მე მაიძულა თავი დამენებებია ჩემი თანამდებობისთვის. როცა მთავრობის კრიზისი გათავდება, მაშინ შეიძლება დაწვრილებით ყველაფრის თქმა. ყოველ შემთხვევაში სანამ ჩემს მოადგილეს არ დანიშნავენ, ხელმძღვანელობა ჩემს ხელში იქნება. ეს ალბათ ერთი ორი დღის საკითხია. როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვიგეს, ლვოვის წასვლა მოხდა შემდეგი მიზეზების გამო: ხალხის თავისუფლების პარტიის წევრთა მთავრობიდან გასვლამ დაარღვია დროებით მთავრობის ძალთა გაწყობილება. დაუყოვნებლივ წამოაყენეს საკითხი იმ დებულების შესახებ, რომლის ძალითაც უნდა მომხდარიყო დროებით მთავრობის შევსება. თავადმა ლვოვმა განაცხადა დარჩებოდა თავის თანამდებობაზე, თუ მთავრობის განახლება მოხდებოდა კოალიციურ პრინციპით მის მიერ მთავრობისადმი წარდგენილ პროგრამაზე. ამ პროგრამის ძირითადი მუხლები იყო გადაჭრილი მწყობრი ბრძოლა ყველა ანარქიულ და ბოლშევიკურ მიმდინარეობასთან, ბრძოლა მიწის, ფაბრიკა-ზავოდების და სხვა წარმოების მოტაცების წინააღმდეგ, დამფუძნებელ კრებისთვის არჩევნების მომზადება ისე, რომ ხალხს შეეძლოს გამოსთქვას თავისი ჭეშმარიტი სურვილი და ძირითად საკითხების დამფუძნებელ კრებამდე გადაუწყვეტის საშუალების მოსპობა. 3—5 ივლისის ამბებმა შესწყვეტა მთავრობის შევსების შესახებ მოლაპარაკება. შეიარაღებული მუშები და პეტროგრადის გარნიზონის ნაწილი გამოვიდა დროებით მთავრობის წინააღმდეგ, რომელმაც გადასწყვიტა აჯანყების ჩასაქრობათ ყოველივე საშუალება ეხმარა, თუ საჭირო იქნებოდა შეიარაღებული ძალაც. ლვოვის წინადადებით გამოიწვიეს პეტროგრადის ახლო მდგომი ჯარები და აგრეთვე ფრონტიდანაც. მინისტრების ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა მთავრობის გადაწყვეტილებას, მხოლოდ მინისტრი სოციალისტები წინააღუდგნენ, თანახმათ თავიანთი საბჭოების დადგენილებისა, წინააღუდგნენ სხვა მინისტრების წინადადებას დაუყოვნებლივ ძირიანათ აღმოეფხვრათ ბოლშევიკების აგიტაცია და დაეჭირათ მათი ლიდერები, სანამ თვითოეულ პირის წინააღმდეგ დასაბუთებულ ბრალდებას მიიღებდენ. მათ ის აზრი გაატარეს, რომ ბოლშევიკები წარმოადგენენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ერთ მიმდინარეობას და იგინი უნდა სარგებლობდენ თავისუფლებით თავიანთი იდეია ცხოვრებაში გაატარონ და მათი გათანასწორება აჯანყების მომწყობებთან არ შეიძლება. საბჭოებმა ბოლშევიკების დასაცავათ საგანგებო მოწოდება გამოუშვეს და მოუწოდებდენ არ გაავრცელონ ჯერ ხმები ლენინისა და მის ამხანაგების გერმანიასთან დამოკიდებულების შესახებ. სამხედრო მინისტრის პეტროგრადში მოსვლისათანავე დააყენეს საკითხი ბოლშევიკურ მოღვაწეობის ლიკვიდაციის შესახებ. საბჭოებმაც გამოსთქვეს აზრი მიეღოთ ბოლშევიკების წინააღმდეგ გადაჭრილი ზომები, მხოლოდ მოსთხოვეს მთავრობას დაუყოვნებლივ გამოექვეყნებია თავის მოქმედების პროგრამა, სადაც აღნიშნული უნდა ყოფილიყო რუსეთში რესპუბლიკანურ წეს-წყობილების გამოცხადება, სახელმწიფო დუმის გაუქმება, მინისტრ ჩერნოვის მიერ შემუშავებულ მიწის შესახებ კანონპროექტის ეხლავე ცხოვრებაში გატარება. თავადმა ლვოვმა შეუძლებლად სცნო ამ მოთხოვნების დაკმაყოფილება. რესპუბლიკის გამოცხადება იქნებოდა მინისტრების მიერ მიღებულ ფიცის დარღვევა, რომლის თანახმად მათ პირობა დადეს მიეღოთ ყოველივე ზომები მოეწვიათ დამფუძნებელი კრება რომელიც შეიმუშავებდა მომავალ წეს-წყობილებას. უარჰყო აგრეთვე სახელმწიფო დუმის გაუქმება, რადგან იმ მთავრობას, რომელიც დუმამ დააყენა არ შეუძლია მისი ბედ-იღბლის გადაჭრა. შეუძლებლათ სცნო აგრარულ საკითხის ეხლავე გადაჭრა, რადგან ჩერნოვის პროგრამის ცხოვრებაში გატარება აუცილებლათ გამოიწვევს მიწების მოტაცებას და გააძლიერებს აგრარულ მოძრაობას. დიდი უთანხმოება გამოიწვია ლვოვსა და დროებით მთავრობას შორის დეპუტატთა საბჭოების დადგენილებამ იმის შესახებ, რომ დროებითი მთავრობა ვალდებულია იხელმძღვანელოს ამ დეპუტატთა სრულიად რუსეთის ყრილობების გადაწყვეტილებით. რადგან დროებით მთავრობამ ლვოვს მხარი არ დაუჭირა, მან განცხადება შეიტანა ადგილიდან გადადგომის შესახებ და წინადადება შეიტანა მის ადგილზე, როგორც მინისტრ-თავმჯდომარის, კერენსკი დაენიშნათ და თან სამხედრო მინისტრადაც დარჩენილიყო.

გერმანიის რეიხსტაგის ცენტრის პროგრესიულ პარტიის და ს-დემოკრატების რეზოლიუცია ომის მიზნების შესახებ სტოკჰოლმის—ვ. ს. იტყობინება: კანცლერის სიტყვის შემდეგ ფერენბახმა გამოაქვეყნა ცენტრის, სახალხო პროგრესიულ პარტიის და სოციალ-დემოკრატების რეზოლიუცია ომის მიზნების შესახებ. რეზოლიუცია ასეთია: დეე მტრებმა ჩვენ განცხადებაში ჩვენი სისუსტე დაინახონ, ჩვენ დავამტკიცებთ, რომ შეგვიძლია გამარჯვების მოპოება. ომი მეოთხე წლის კარებს მიადგა და საშინელი საკითხი დაგვიყენა წინ: ნუ თუ კიდევ მეოთხე წელიც ამ საოცარმა სისხლის ღვრამ უნდა შეიწიროს? ჩვენი სამხედრო მდგომარეობა ჩვენ შეცთომაში არ შეგვიყვანს ჩვენი ძლიერების შესახებ, რისთვისაც ჩვენ განვაცხადეთ, რომ მზათ ვართ ზავის ჩამოსაგდებათ ეს განცხადება ხალხის უწმინდესი ნების გამოხატულებაა. თუ ჩვენ მიერ ძმურად გაწვდილი ხელი ჰაერში დარჩა, დავამტკიცებთ, რომ გერმანია უძლეველია. იმპერატორმა შინაურ პოლიტიკას ბრძნული მიმართულება მისცა ხალხის სურვილს მხარი დაუჭირა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ პრუსიაში საარჩევნო უფლების საკითხი უბრძოლველათ გათავდება და ახალი კანცლერი მხარს დაუჭერს ხალხის შეკავშირებულ მთელ ძალ-ღონეს სამშობლოს სასარგებლოთ გამოიყენებს, მოსპობს სარწმუნოებრივ და სოციალურ პრივილეგიებს, რომ ჩამოაგდოს ზავი, რომელიც უზრუნველჰყოფს გერმანიის განვითარებას და ყველა ხალხს მოარიგებს. შეიდემანმა განაცხადა, რომ მისი პარტია ებრძვის კანცლერს, მაგრამ მათი უთანხმოება პრინციპიალურია. ჩვენ წინააღმდეგი ვართ ხალხთა ომის რადგან ეს ვნებას მოუტანს გერმანიას. ჩვენ, როგორც ჩვენ მტრებს, არ შეგვიძლია ომით მოვიპოვოთ ზავი. სამი წლის შემდეგ ჩვენ პირის პირ ვდგევართ ჩვენზე უფრო ძლიერ მტერთან. ჩვენ სხვისი არაფერი გვინდა, ჩვენ გვინდა სამართლიანი საერთაშორისო უფლებით უზრუნველყოფილი ზავი. კანცლერის სიტყვა დემოკრატიის შესახებ ვერ არის დამაკმაყოფილებელი. კანცლერმა უნდა გაგვანთავისუფლოს ჩვენ ბიუროკრატიზმის სამკლასიან საარჩევნო უფლებისგან. საარჩევნო უფლების შეცვლის შესახებ კანონპროექტი შემოდგომაზე უნდა იქნას შემოტანილი. დასასრულ ორატორი მოითხოვს გაზეთის ცენზურის მოსპობას და პოლიტიკურ ტუსაღების განთავისუფლებას (?!) გრაფი ვესტარპი აცხადებს: მტერთა მისწრაფებას ჩვენს განადგურებლათ ბოლო მოეღო. ჩვენ განცხადებას იმის შესახებ, რომ მზათ ვართ უარი ვსთქვათ გამარჯვების ნაყოფით სარგებლობაზე, ისე დებულობენ როგორც ჩვენს უკიდურეს მდგომარეობით გამოწვეულს. ზავის საკითხი რეზოლიუციით კი არა სხვა გზით უნდა გადასწყდეს. აღმოსავლეთ პრუსიას აღარ უნდა ჰქონდეს შიში რუსების შემოსევის. გაზე მოითხოვს დაუყოვნებლივ ზავის ჩამოგდებას ერთა თვითგამორკვევის ნიადაგზე და სოციალის-

ტურ რესპუბლიკის დაარსებას. ზავის რეზოლუცია მიიღეს 214 ხმით წინააღმდეგ 116 ხმისა.

კერენსკის სასწრაფო დეპეშა.

პეტროგრადი. ოფიციალური. სამხედრო მინისტრის რადიოტელეგრამა. საბოლოოდ დამტკიცდა, რომ პეტროგრადის აჯანყებაში მონაწილეობას ღებულობდენ გერმანიის მთავრობის აგენტები. ეხლა არეულობას სრულიად ბოლო მოეღო, ხელმძღვანელთ და იმ პირთ, რომელთაც ძმათა სისხლით შეღებეს ხელები და უღალატეს სამშობლოს და რევოლუციას, აპატიმრებენ. დააპატიმრეს აგრეთვე ფლოტის ზოგიერთი მოსამსახურენი. მოვუწოდებ დემოკრატიის ყველა ნამდვილ შვილებს მჭიდროთ შემოკრბენ დროებით მთავრობის და დემოკრატიის სრულიად რუსეთის ორგანოების გარშემო სამშობლოსა და რევოლუციის გადასარჩენათ გარეშე მტრისა და მისი შინაურ მოკავშირეთაგან. კერენსკი.

ბრძანება ჯარსა და ფლოტს.

პეტროგრადი. 7 ივლისს სამხედრო და საზღვაო მინისტრმა კერენსკიმ არმიისა და ფლოტისადმი ბრძანება გამოსცა, სადაც დაწვრილებით აღნიშნულია როგორ მომზადდა პეტროგრადის აჯაყების საქმე. მოუწოდებს ოცდაოთხ საათში დაშალონ ჯარის ის ნაწილები, რომლებმაც თავი შეირცხვინეს სამშობლოს და რევოლუციის ღალატით, მეთაურები დაატყვევონ და საქმის გამოსაძიებლად პეტროგრადში გაგზავნონ.

პეტროგრადის გარნიზონის რეზოლუცია.

პეტროგრადი. პეტროგრადის გარნიზონის საზოგადო კრებაზე შემდეგი რეზოლუცია მიიღეს: ვსცნობთ რა ჩვენს ძალას და ჩვენს მოვალეობას შეურყევლად დარაჯად ვიდგებით თავისუფლებას და პეტროგრადის რევოლუციონურ წესებს, სრულიად დავემორჩილებით მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს, რომელსაც სავსებით ვენდობით და უცვლელად შევასრულებთ ყოველივე მის ბრძანებას. ჩვენ გადავსწყვიტეთ უზრუნველვყოთ მუშათა ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრული თავისუფალი მოქმედება, რომელსაც მხოლოდ მარტო შეუძლია დაარწმუნოს რუსეთის დემოკრატია რევოლუციონურ რუსეთის თავისუფალ განვითარებაში.

ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრდენ.

პეტროგრადი. ტავრიდის სასახლეში ცნობები მოდის, რომ ჯარისკაცები ბოლშევიკების წინააღმდეგ ამხედრდენ და აქა იქ სხვადასხვა ექსცესებს ჰქონდა ადგილი. ბოლშევიკების წარმომადგენლებმა მფარველობა სთხოვეს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს.

ფრონტის გარღვევა.

პეტროგრადი. ფრონტზის გარღვევის ამბავმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ტავრიდის სასახლეში. დემოკრატიის ორგანოთა წარმომადგენელნი დარწმუნებულნი არიან, რომ ფრონტის გარღვევას პეტროგრადის ამბავთან უტყუარი დამოკიდებულება აქვს.

დეპუტატთა საბჭოების ცენტრალურ კომიტეტების კრება.

პეტროგრადი. 8 ივლისს, საღამოს ტავრიდის სასახლეში ჩხეიძის თავმჯდომარეობით მოხდა დეპუტატთა საბჭოების ცენტრალურ კომიტეტების დახურული კრება, დაესწრენ ფრონტიდან პეტროგრადში რევოლუციის დასაცავათ მოსულ ჯარის წარმომადგენელნი. ჯარის კაცები მიესალმენ კრებას, აგრეთვე ჩხეიძესა და ავქსენტიევს, გააგებინეს ფრონტის მდგომარეობა და მათი მოსვლის მიზანი. ჩხეიძემ განაცხადა, ფრონტიდან ჯარის მოსვლა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დახმარებოდენ შერყეულ ერთობის აღდგენაში. ავქსენტიევმა იმედი გამოსთქვა, რომ ჯარის კაცები შესძლებენ შეასრულონ რევოლუციისადმი მოვალეობა.

სამხედრო კრედიტი.

სტოკჰოლმი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რეიხსტაგმა მიიღო 15 მილიარდი სამხედრო კრედიტი. დამოუკიდებელმა სოციალისტებმა წინააღმდეგ მისცეს ხმა.

ვინ აუტეხა სროლა ფრონტიდან მოსულ ჯარს?

პეტროგრადი. გამოირკვა, რომ გუშინ ფრონტიდან მოსულ ჯარზე თავდასხმა წინდაწინ მომზადებული იყო. ზნამენსკის მოედანზე სროლა მით აიხსნება, რომ ჯარი ვიღაც უცნობმა ოფიცრის ტანისამოსში გამოწყობილმა ყალბი გზით წაიყვანა, მან თავის თავს პორუჩიკი მაზურენკო უწოდა. ეჭვი არავის შეჰპარვია, რომ ის მართლა ოფიცერი იყო და გაჰყვენ იმ ქუჩით, სადაც ჩასაფრებული იყვნენ.

ჯარების იარაღის აყრა.

პეტროგრადი. დროებით მთავრობის დადგენილებით იარაღი აჰყარეს 1 ტყვიის მფრქვეველ პოლკს. იარაღის აყრა მოხდა სასახლის მოედანზე, სადაც ჯარმა მიიტანა ტყვიის მფრქვევლები და თოფები. მოედანზე იდგა მთავრობის ჯარი, რომელიც იარაღს ღებულობდა.

გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის რეზოლუცია.

პეტროგრადი. გლეხთა დეპუტატების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის დახურულ კრებაზე მიიღეს მენშევიკების და ს.-რევოლუციონერების რეზოლუცია: 1) დროებით მთავრობის წინააღმდეგ ავანტიურისტებმა შეიარაღებულმა გამოსვლამ ფართო მასაზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა და მისი აზროვნება ძირიანად შესცვალა. ამ შეიარაღებულ გამოსვლას ხელს უწყობდა რევოლუციონურ დემოკრატიის ორგანოები, „ბოლშევიკები“, და მათი სახელით ბნელი ძალები პროვოკატორები და შავრაზმელები; რომელთაც სურვილი ჰქონდათ ანარქიის ჩამოგდებით რევოლუცია მოეკლათ. მეორე მხრით—ის აუცილებელი ზომები, რომლებიც მთავრობამ, დეპუტატთა საბჭოების ცენტრალურმა კომიტეტმა და გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო, 3—5 ივლისის აჯანყების წინააღმდეგ ნიადაგს უმზადებს კონტრ-რევოლუციონერებს სადემაგოგიო აგიტაციისთვის, რომლებიც ჯერ რევოლუციონურ წეს-რიგის დამყარების დროშის ქვეშ გამოდიან და შემდეგ შეეძლება გზა გაიკაფონ სამხედრო დიქტატურისკენ, 2) ამიტომ ამ საშიშროების თავიდან ასაცდენათ საჭიროა რევოლუციონურ თავისუფლების და წეს რიგის დაცვა იკისროს დროებითმა მთავრობამ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან, რევოლუციონურ დემოკრატიის ორგანოებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, მუშებთან, სამხედრო ორგანიზაციებთან და ადგილობრივ თვითმართველობათა ორგანოებთან შეთანხმებით. განსაკუთრებული ზომების ხმარა შეიძლება კერძო პირების წინააღმდეგ და არა მთელი პარტიის და პოლიტიკურ მიმდინარეობის მხოლოდ ამ გზით შეიძლება თავიდან ავიცილოთ თვით გასამართლება, პოგრომები და აკვანშივე მოვსპოთ კონტრ-რევოლუციონური გამოსვლა. (დასასრული ჯერ არ მოსულა).

დრ. მთავრობის დეკლარაცია.

პეტროგრადი. მოქალაქენო! განსაცდელის ჟამი დადგა!

გერმანიის იმპერატორის ჯარებმა გაარღვიეს ფრონტი რუსეთის სახალხო რევოლუციონური ჯარისა. ეს საშინელი საქმე გაუადვილეს მას ზოგიერთების ღალატმა. ამ საშიშ დროს, როდესაც შესაძლებელია გამოვიდნენ მიმალული ძალები კონტრ რევოლუციონერებისა. დროებითი მთავრობა კარგათ გრძნობს თავის პასუხისმგებლობას, მაგრამ მას სწამს ძალა დიდი რუსეთის ხალხის და მისი ნდობით აღჭურვილი მოქმედობს. დროებით მთავრობას სჯერა, რომ ეს კრიზისი გამაჯანსაღებელია რუსეთისა. ამ რწმენით გამაგრებული დროებითი მთავრობა იმოქმედებს მთელი თავისი ენერგიით და გაბედულობით, რასაც კი მოითხოვს განსაკუთრებული მდგომარეობა.

პირველ მიზნათ დრ. მთავრობა ისახავს გარეშე მტრისაგან თავდაცვას და კონტრ-რევოლუციის წინააღმდეგ გადაჭრილ ბრძოლას. გარეშე პოლიტიკაში ის ისევ ძველ გზას ადგია და ადასტურებს, რომ არც ერთი წვეთი სისხლი ჩვენი სალდათისა არ დაიღვრება თუ არა დემოკრატიის ინტერესების დასაცავათ და მთელ ქვეყანას ერთხელ კიდევ განუმეორებს თავის სამშვიდობო ლოზუნგებს, რაც 6 მაისის დეკლარაციაში იყო ნათქვამი. დრ. მთავრობას აზრათ აქვს წინადადება მისცეს მოკავშირეებს შეიკრიბონ მოწვეული კონფერენციაზე ავგვისტოს განმავლობაში—მოკავშირეების გარეშე პოლიტიკის მიმართულების გამოსარკვევათ და მათი მოქმედების შესათანხმებლათ დემოკრატიული რუსეთის წარმომადგენლების პრინციპებთან.

დრ. მთავრობა მიიღებს აგრეთვე ყოველივე ზომას, რომ დამფუძნებელ კრება უნდა შეიკრიბოს დანიშნულ დროს 17 ეკენისთვის. არჩევნების სამართლიანათ ჩასატარებლათ დრ. მთავრობას საჭიროთ მიაჩნია ეხლა მოეწყოს ქალაქის თვითმართველობები საყოველთაო და სხვა კენჭის ყრით. დრ. მთავრობას საჭიროთ მიაჩნია ადგილობრივ კოლეგიალური სოფლის მართველობის შემოღება, მოქალაქეთა გასათანასწორებლათ დრ. მთავრობა ამ დღეებში გამოსცემს დადგენილებას წოდების აგრეთვე სამოქალაქო „ჩინების და „ორდენების“ გაუქმების შესახებ, შინაურ არევ-დარევის და ეკონომიური კრიზის გასანელებლათ ეხლავე იწყებს მუშაობას ეკონომიური საბჭო და მთავარი ეკონომიური კომიტეტი, რომლის მიზანია საერთო გეგმის შედგენა მეურნეობის აღსადგენათ. მუშათა პოლიტიკის შესახებ ამ დღეებში განხორციელებული იქნება უკვე დამთავრებული კანონ პროექტი, კავშირების თავისუფლების, შრომის ბირჟის, მომრიგებელ კამერების შესახებ. მუშავდება კანონ პროექტი რვა საათის სამუშაო დღის, შრომის დაცვის, სოციალურ დაზღვევის შესახებ და სხვა.

მიწის რეფორმის საფუძვლათ უნდა დაედვას ის აზრი, რაც მიღებულია ყველა რევოლუციონურ პარტიის მიერ—მიწა უნდა გადაეცეს მშრომელ ხალხს. ამის მიხედვით მუშავდება რეფორმის პროექტი და წარედგინება დასამტკიცებლათ დროებით მთავრობას. უმახლოესი მიზნათ დრ. მთავრობა ამ დარგში ისახავს შემდეგს: 1) მიწათ-მფლობელობის ძველი პოლიტიკის ლიკვიდაცია; 2) ზომების გამონახვა, რომ მიწის ფონდი დამფუძნებელ კრების განკარგულებაში იყოს; 3) სახელმწიფოში კომიტეტის მოწყობა, რომლებიც ეხლავე მოაწესრიგებენ მიწის საკითხებს; 4) და ამგვარივე ორგანიზაციების დახმარებით თავიდან აცილება ძალით მიწების ხელში ჩაგდების, რაც სახელმწიფო პრინციპს ეწინააღმდეგება.

აცხადებს რა დროებითი მთავრობა თავის მომავალ მიზნებს ის ფიქრობს, რომ მას მხარს დაუჭერს რუსეთის მთელი ცოცხალი ძალები. დრ. მთავრობა ითხოვს ყველასაგან, რომ მათ შესწირონ ქონება და სიცოცხლე ქვეყნის კეთილდღეობას.

ჯარის უკან დახევა.

პეტროგრადი. 6 ივლისს დაწყებული გერმანელების შემოტევა მე 11 ჯარის ფრონტზე თანდათან საბედისწერო შედეგს აძლევს და უბედურობას უქადის რევოლუციონურ რუსეთს. ჩვენი ჯარების იმ ნაწილებში, რომლებმაც შეტევა დაიწყო, გაწვრთნილება შეიცვალა და უმეტესი ნაწილი ჯარებისა იშლება უფროსებს არავინ ემორჩილება. ზოგიერთი ნაწილები თავის ნებით მოდიან პოზიციებიდან. მტრის პირველ შემოტევისთანავე ზოგიერთი ნაწილები თავს ანებებენ პოზიციებს. ასი ვერსის მანძილზე—უკან ბრუნდებიან ბევრი ჯარისკაცი თოფებით და უთოფოთაც—ჯანმრთელები, მაგრამ სირცხვილ დაკარგულები. ხანდისხან ამ გვარათ მთელი ნაწილები მიდიან.

ფრონტის და არმიის კომიტეტებს მდგომარეობა სერიოზულათ მიაჩნიათ და თხოულობენ განსაკუთრებულ ზომებს, რომ იხსნან რევოლუცია და სამშობლო დაღუპვისაგან. დღეს სამხრეთ დასავლეთის მთავარ სარდალმა და მე-11 ჯარების უფროსმა კომისარების და კომიტეტების თანხმობით ბრძანება გასცეს უკან მიმავალ ჯარის ნაწილებს ტყვია დაუშინონ. დე, მთელმა ქვეყანამ გაიგოს თუ რა ხდება დღეს აქ. იქნება რაიმე ზომები მიიღონ იმათ წინააღმდეგ, ვინც ასე გვრბის.

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის კომიტეტის თავმჯდომარე დაშევსკი, თავმჯდომარეს ამხანაგები: კოლჩინსკი, ნიკოლსკი და გუხგინი. მე 11-ჯარის თავმჯდომარე პაპოვი, კომისარი მე-11 ჯარისა კირიენკო, კომისრის თანაშემწე ქვსტილდა აღმასრულებელ კომიტეტის წევრი გლეხთა კომიტეტისა დეპუტატი პიანი.

კერენსკის განკარგულება.

მინისტრთა თავმჯდომარე კერენსკის განკარგულება გამოსცა, რომ გაზ. „პრავდა“ „სოლდატსკაია პრავდა“ და „ოკოპნაია პრავდა“ მოქმედ ჯარში არ იქნეს გავრცელებული.

საფრანგეთის სამხედრო კაბინეთის წევრის განცხადება.

საფრანგეთის სამხედრო კაბინეთის ახალმა წევრმა ედუარდ კარსინმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ უკეთუ გერმანელებს სურთ ზავი, ჩვენ მზათ ვართ თუნდ ხვალე გავმართავთ მათთან ზავის შესახებ მოლაპარაკებას, მხოლოდ არა პრუსიის მილიტარისტებთან, არამედ გერმანიის ხალხის საუკეთესო ელემენტებთან. გერმანიის გულწრფელობის ნიშნათ ჩვენ ვთხოულობთ მათ უარი სთქვან უცხო ტერიტორიების დაპყრობაზე და სხვა ერების დამორჩილებაზე და რომ მათ თავიანთი ჯარი მდ. რეინს იქით გადაიყვანონ. როცა ცოდვებს მოინანიებენ ბელგიის, ჩრდილოეთ საფრანგეთისა, სერბიის დარბევა-წიოკების შესახებ, მაშინ შეგვიძლიან მათთან ზავის შესახებ მოლაპარაკება გავმართოთ და მკვიდრო მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთ.

ომის დეპეშები

(პეტ. დეპ. სააგ.)

პეტროგრადი. 9 ივლისი. ოფიციალური ცნობა. ჯარების მთავარ ბანაკიდან. დასავლეთის ფრონტზე ვილენსკის მიმართულებით მთელი დღე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლა იყო. მტერმა რამდენიმეჯერ მოიტანა ჩვენზე იერიშები პენიავკა-გარმუზოვის რაიონში, ბროდის სამხრეთიდან 30 ვერსის მანძილზე. თავდაპირველათ ყველა იერიშები მოვიგერიეთ, მაგრამ 10 საათზე მე-607 მლინოვის პოლკმა თავისი ნებით დასტოვა სანგრები ბატკუვ-მანაიუვის რაიონში, ამას მოჰყვა მეზობლათ მდგომი პოლკების მიერ თავისივე ნებით სანგრების დატოვება, რითაც მტერმა ისარგებლა და წინსვლა უფრო გაძლიერა. ჩვენი ამ რაიონში უკან დახევა „ბოლშევიკების“ აგიტაციის გავლენას მიეწერება. როცა ჯარმა ბრძანება მიიღო, ზოგიერთ ნაწილებში მიტინგები გამართეს, მოეყვანათ ის სისრულეში თუ არა. ბევრ სანგრებიდან ისე წამოვიდა ჯარი, რომ მტერს სრულიადაც არ დაუტანებია ძალა. ბრჟეჟანთან, შობალინის სამხრეთით ავსტრიელებმა და გერმანელებმა იერიშების შემდეგ დაიკავეს ჩვენი სანგრების პირველი ხაზი, მაგრამ ამავე რაიონის სამხრეთის ნაწილში მათი ცდა იერიშების მოტანის შესახებ უშედეგოთ დამთავრდა. გალიჩის დასავლეთით ჩვენი ჯარის ნაწილმა დასტოვა სოფ. ბლუდნიკი, რითაც ისარგებლა მტერმა და დაიკავა ეს სოფელი, რასაც შემდეგ ვეღარ დავიბრუნეთ. 4 ივლისს მტერმა ნოვიცის ახლოს, კალუშის სამხრეთით ხელში ჩაიგდო ერთი მაღლობი. ამ დროს ერთმა ჩვენმა პოლკმა უკან დახევა იწყო. როცა ამ რაიონის სამხედრო უფროსმა გენ. მაიორმა გაგარინმა შეატყო საქმე კარგათ აღარ იყო, წინ წასწია ახლად მისული იუხნოვის პოლკის ერთი ბათალიონი შტაბს-კაპიტანის ბურიგინის მეთაურობით. როდესაც ეს ბათალიონი შეტევის გზას დაადგა გენ. გაგარინმა ორივე მხრიდან დამხმარე ადგილობრივი პოლკები მიაშველა: მარჯვნიდან — დაღესტნელები, მარცხნიდან—ჩერქეზები და კაბარდინელები, ამის შემდეგ მტერი იძულებული გახდა უკან დაეხია. დვინსკის სამხრეთ დასავლეთით მტრის არტილერია ცხარეთ მუშაობს.

ზოლოჩევის მიმართულებით მტერმა გაარღვია ჩვენი ხაზი და მთელ 7 ივლისს განაგრძობდა შემოტევას. ტარნოპოლის მიმართულებით საერთოთ ჩვენმა ჯარმა ვერ გამოიჩინა სიმაგრე და ზოგიერთ ადგილებში ბრძანებები არ აასრულა, განაგრძო უკან დახევა და რუნევ-გლოდკის ხაზზე საღამოს შეჩერდა: ვიშკი პოტუტორის ხაზზე მტერი საარტილერიო ბრძოლას აწარმოებს. მდ. ლომნიცაზე მტერმა რამდენიმეჯერ მოიტანა იერიშები, მაგრამ მოვიგერიეთ. დაბოლოს, სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. ნოვიცადან მტერმა ერთი გამაგრებული მაღლობი დაიკავა. დანარჩენ ფრონტებზე კინტი-კუნტი სროლაა.

რუმინის ფრონტზე, მდ. რიმნიკის შესართავთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. დანარჩენ ფრონტზე სიწყნარეა.

კავკასიის ფრონტზე სიწყნარეა.

პარიზი. 7 ივლისი. იურტებიზას რაიონში საარტილერიო სროლაა. ხანგრძლივ სროლის შემდეგ გერმანელებმა იპრისა და ვოკლეროს პოზიციებზე სასტიკი იერიშები მოიტანეს და ეს იერიშები ხელჩართულ ბრძოლაზე გადავიდა. მტერმა მაინც ვერ მოახერხა ჩვენი პოზიციების დაკავება. მდ. მაასის რაიონში, „304“ მაღლობთან ორთავ მხრივ საარტილერიო სროლაა.

პარიზი. 8 ივლისი. მდ, ენის ფრონტზე, სერნის, იურტებიზის და კრაონას რაიონში მტერმა სასტიკი საარტილერიო სროლა გააჩაღა და შემდეგ გაძლიერებული იერიშები მოიტანა, მაგრამ ჩვენ მათი იერიშები მოვიგერიეთ. ბრეანლაწუას ჩრდილოეთით გერმანიის ჯარი წინა დღით დაკავებულ სანგრებიდან გავრეკეთ. იერიშები მოვიგერიეთ სერნის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იერიშები მოვიგერიეთ აგრეთვე იურტებიზას რაიონში. დანარჩენ ფრონტზე გარდა შამპანისა სიწყნარეა.

პარიზი. 9 ივლისი. უაზის სამხრეთით საარტილერიო სროლაა. სენ-ქერმენის სასაფლაოსთან მტრის იერიშები მარცხით დამთავრდა. ურმოწას რაიონში საარტილერიო სროლა კვლავ სიძლიერით სწარმოებს. კაზემატისა და კალიფორნიას მაღლობებთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ავოკურის რაიონში გერმანელების იერიშები მოვიგერიეთ და ისინი საგრძნობლათ დავაზარალეთ. მდ. მაასის ფრონტზე გერმანიის ჯარს უშედეგო იერიშები მოაქვს.

ლონდონი. 8 ივლისი. საფრანგეთის ფრონტზე, გრინვილის მაღლობთან მტრის სანგრებზე იერიშები მივიტანეთ და მტერს უკან დავახევინეთ. ლოოსის სამხრეთ-დასავლეთით მტერს თავს დავესხით და აქედან ჯარისკაცები ტყვეთ წამოვიყვანეთ.

ლონდონი. 9 ივლისი. საფრანგეთის ფრონტზე, ლომბარდუზეს რაიონში გერმანიის ჯარმა საარტილერიო სროლა და იერიშები განაცხოველა.

რომი. 7 ივლისი. მდ. მაზოსთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ. კოლბრიკონის რაიონში მტრის სანგრებში ჩვენმა არტილერიამ ცეცხლი გააჩინა, სიმაგრეები და სანგრები დავანგრიეთ აგრეთვე მონტე პაინოს ბრძოლის ხაზზე. დანარჩენ ფრონტზე საარტილერიო სროლაა.

ახალი ამბები

◆ **თავდასხმა ამხ. აკაკი ჩხენკელზე.** 8 ივლისს ღამის 10 საათზე ამხ. აკაკი ჩხენკელს, როცა იგი თავის ოჯახობით ბრუნდებოდა კოჯორიდან თავს დაესხენ ბოროტ-გამზრახველები გასაძარცვავათ. თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა სამი კაცი, ორი მათგან ჯარის კაცის ტანისამოსში იყო გამოწყობილი. ა. ჩხენკელის ავტომობილი იძულებული იყო ნელა წასულიყო, ვინაიდან გზაში იდგა უკვე გაძარცული აუარებელი ავტომობილები და ეტლები. თავდამსხმელებმა მოითხოვეს ავტომობილის სრულიად შეჩერება და მუქარის ნიშნათ რევოლვერი გაისროლეს ჰაერში. არც ჩხენკელს, არც მის მხლებელთ იარაღი არ ჰქონდათ. ამით ისარგებლეს მძარცველებმა და ჩამოართვეს ყველას ფული 150 მან. ერთ მხლებელთაგანმა მოინდომა წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ მას მივარდა ორი თავდამსხმელთაგანი და რევოლვერით თავს გაუტეხეს, მესამე კი ამ დროს ჩხენკელთან იდგა რევოლვერ [illegible] ამბავმა გასტანა 5 წუთს. [illegible] მილიციონერებიც მათ დანახვაზე მძარცველებმა ასტეხეს სროლა და გაიქცნენ. მსუბუქათ დაიჭრა ერთი მილიციონერი. მილიციის უფროსის კაჩუხოვის ხელმძღვანელობით დაატყვევეს 5 კაცი. დაკითხვას აწარმოებს თვით კაჩუხოვი.

◆ **მუშათა სექციების სხდომა.** მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს მუშათა სექციის სხდომა მოხდება დღეს საღამოს 7 საათზე სახალხო სახლში. დღის წესრიგი: 1) ამხ. ალ. ლომთათიძის მოხსენება დეპუტატების საბჭოთა ყრილობაზე; 2) სამანდატო კომისიის მოხსენება: 4) აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა არჩევა: 4) მე 10 და მე-3 ურნის სასურსათო კომიტეტთა წევრების არჩევა; 5) სხვადასხვა საქმეები.

◆ **ოზ მზრის აღმასრულებელი კომიტეტი** ამით აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ადგილობრივ თვითმართველობის ხმოსანთა არჩევნები დანიშნულია 23 ივლისს.

◆ **მეოთხე ს. დ. რაიონული კოლექტივის პრეზიდიუმი** აცხადებს ახლათ არჩეული კოლექტივის წევრების საყურადღებოთ, რომ კოლექტივის კრებები ხდება ყოველ კვირაში სამშაბათობით, საღამოს 8 საათზე. დღევანდელ კრებაზე პრეზიდიუმი სთხოვს ყველა ამხანაგებს უსათუოთ დაესწრონ.

◆ **კონცერტები პროვინციაში.** ტფილისის მომღერალ-მგალობელთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით ამ მოკლე ხანში გამართავს კონცერტებს პროვინციის შემდეგ ადგილებში: გორში, ხაშურში, სურამში და ბორჯომში.

◆ **კიდევ თვით გასამართლება.** 10 ივლისს ჯარისკაცებმა სცემეს ჯიბგირ ფატანაშან-ოღლის. რომ სადგურის კომისარი არ მიშველებოდა, შესაძლებელია კიდეც მოეკლათ.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 7 საათზე, სახალხო სახლში შესდგება ფოსტა-ტელეგრაფის მუშა მოსამსახურეთა კრება. თემა: სხვა და სხვა პარტიის პროგრამები.

† ამხ. მიხაკო ფილიპეს ძე სიხარულიძე.

29 ივნისს ს. ხიდისთავში (გურია) მიწას მიაბარეს ჩვენს პარტიაში დიდი ხნის მომუშავე ნიჭიერი და გულწრფელი ამხ. მიხაკო სიხარულიძე. მისი უდროოდ გარდაცვალება ყველა თანამოაზრეებისათვის ღრმა სამწუხაროა. ამხ. მიხაკო ხელობით მჭედელი იყო. მისი პატარა „სახელოსნო“ გურიის მოძრაობამდის „აუდიტორიათ“ იყო ქცეული, სადაც მრავალი პოლიტიკური კითხვები ირჩეოდა რ. ს. დ. მ. პარტიული ჯგუფის მიერ, რომელშიდაც თვით განსვენებული მხურვალე მონაწილეობას იღებდა. ამხ. მიხაკოს პირველ დაწყებითი სწავლა ჰქონდა მიღებული, მაგრამ შეგნებით ბევრ „კურს დამთავრებულზე“ წინ იდგა...

ერთი წელია, რაც ამხანაგი შეიპყრო ულმობელმა სენმა—ჭლექმა და სამუდამოდ გამოასალმა თავის საბრალო ცოლ-შვილს და ამხანაგ-მეგობრებს.

ოჯახური მდგომარეობის გამო მას არ შეეძლო სისტემატიური მუშაობა ჩვენს პარტიაში. ყოველივე საკითხს ის გულდასმით და სისწორით არკვევდა, რაც მიეწერებოდა მის ნიჭს და პრაქტიკულ ცოდნას. ამხანაგო მიხაკო! რადგან შენ არ დაგცალდა დღევანდელ საერთო დღესასწაულში მიგეღო აქტიური მონაწილეობა, ეს მეტის მეტად სამწუხაროა ჩვენთვის, მაგრამ მრწამს, რომ საერთოდ გურიის და კერძოთ ხიდისთავის ამხანაგები არ დაგივიწყებენ როგორც საუკეთესო, გულწრფელ ამხანაგს. „რადიკალი“.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში

ბათუმი (მოხსენებიდან).

პარტიული ორგანიზაცია და მუშაობა რევოლუციამდის.

რეაქციის ხანაში, მიუხედავათ სასტიკი რეპრესიებისა, პარტიული ორგანიზაცია და მუშაობა ბათუმში არ შეწყვეტილა. პარტიის წევრები თავს იყრიდენ წრეებში და ლეგალურ ორგანიზაციების გარშემო. დირექტივების მიცემ და ხელმძღვანელი, როგორც ლეგალური, ისე არა ლეგალური მუშაობის იყო სოც.-დემ. ორგანიზაცია. იღებდენ მონაწილეობას ამა თუ იმ არჩევნებში, ავრცელებდენ ფურცლებს, ხელმძღვანელობდენ გაფიცვებს, ავრცელებდენ პარტიულ გაზეთებს, აგროვებდენ გაზეთის ფონდსა და სხვა.

ლეგალურ ორგანიზაციებში პარტია თითქმის ყველგან იღებდა მონაწილეობას. საავადმყოფო კასებში გაყავდა მდივნებათ თავის კაცები, კოოპერატივებში თითქმის უმრავლესობა სოც.-დემ. იყვნენ.

აქიურ წ. კ ს. განყოფილების გამგეობაში გაგვიყვანიათ 7 ს. დ.

აქ ქალაქის თვითმართველობაში იყო 7—8 კაცისგან შემდგარი ს.-დ. ხმოსანთა ჯგუფი, რომელიც შეძლებისდა გვარათ იცავდა სოც.-დემ. მუნიციპალურ პროგრამას.

1914 წ. ომის გამოცხადებისას ადგილობრივი მომუშავენი თითქმის ყველანი გადაასახლეს. მიუხედავათ ამისა, რამოდენიმე თვის შემდეგ ისევ მოეწყო წრეები და განახლდა მუშაობა.

წევრთა რიცხვი მთელ რეაქციის ხანაში 100—300 ის იყო. პარტიული კასა ყოველთვის იყო 300—400 მან.

რევოლუციის პირველი დღეები.

მოვიდა თუ არა ცნობა ნიკოლოზის ტახტიდან გადაყენებისა, ადგილობრივი ორგანიზაცია მაშინვე შეკრიბა, მარა გარკვეული ნაბიჯი პირველ დღეებში ვერ გადადგა, ერთი იმიტომ რომ ელოდა საოლქო კომიტეტის დირექტივებსა და მეორეც იმიტომ, რომ ბათუმი სიმაგრეთ ითვლება და საჭირო იყო ამიტომ მეტი წინდახედული მოქმედება. მიუხედავათ ამისა რამდენიმე დღის შემდეგ კომიტეტი ხელმეორეთ შეკრიბა, რომელსაც გარეშე მომუშავე ამხანაგებიც დაესწრენ.

ამ დღიდან კომიტეტი შეუდგა ფართო მუშაობას. უწინარეს ყოვლისა მიექცა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების შედგენას ყურადღება და შემდეგ სხვა ორგანიზაციებისას. გარდა ამისა გამართა საჯარო მიტინგი და დემონსტრაცია. ამის შემდეგ პარტიის ხელმძღვანელობით ჩატარდა: „რევოლუციის მსხვერპლთა ხსოვნა“, პირველი მაისობა, კ. ჩხეიძის შვილის დასაფლავება და 22 აპრილს პრესის დღე. ყველა ამათ ფართო ხასიათი ჰქონდა. პრესის დღეს რუსულ და ქართულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენაზე გამოიცა გაზეთები. ამ დღეს შემოვიდა 3,506 მან. სულ ამ ხნის განმავლობაში კომიტეტმა გამოუშვა 5-ჯერ ფურცელი, რუსულ ქართულ და სომხურ ენებზე.

რევოლიუციის პირველ დღიდანვე პარტიას მოუხდა ბათუმ ტრაპეზუნის რკინის გზაზე მომუშავეთა ეკონომიურ კონფლიქტებში ჩარევა, რომელმაც მოიჯარადრეთა თავგასულობის წყალობით, ფართო ხასიათი მიიღო. საერთოთ უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიური კონფლიქტები მუშებსა და ხაზეინებს შორის ხშირი იყო, მ. რა ორგანიზაცია ყოველთვის სძლევდა მათ მშვიდობიანი გზით მოგვარებას.

პარ. ორგანიზაციის ფორმა.

თავისუფლების პირველ დღიდანვე პარტიას დიდძალი ხალხი მოაწყდა. პირველ ხანებში დროის უქონლობის გამო, კომიტეტმა ვერ მიაქცია შესაფერისი ყურადღება პარტიულ ორგანიზაციების მოწყობას. ეხლა მდგომარეობა ასეთია: მთელი ქალაქი 4 რაიონათ არის დაყოფილი, რაიონები ცეხებათ. რაიონებში ხდება კრებები, ირჩევა როგორც ადგილობრივი, ისე საერთო კითხვები. რაიონებს განაგებენ რაიონული კომიტეტები, მათ აქვთ ცალკე ბინები, ჰყავთ მდივნები და სხვა, ხოლო საერთო ხელმძღვანელობას უწევს ქალაქის კომიტეტი. უკანასკნელათ იენისის პირველ რიცხვებში დაარსდა სამხედრო პირთა 5 რაიონი, ეს გამოიწვია იმან, რომ ჯარისკაცების რომელიმე რაიონში ჩაწერა მოუხერხებელი შეიქნა და გარდა ამისა, კომიტეტს სახეში ქონდა ის, რომ ამით უფრო გაფართოვდება ჯარში მუშაობა. ზემო ჩამოთვლილ რაიონებს, გარდა, ბათუმის კომიტეტში შედიან შემდეგი რაიონული ორგანიზაციები: ქობულეთის, ჩაქვი მახინჯაურის, მურღულისა და კვარცხანის.

წიგნების უქონლობის გამო კომიტეტმა დღემდის ვერ შესძლო წევრთა საერთო რეგისტრაცია. უკანასკნელათ მან თვითონ გამოიმუშავა წიგნების ფორმა და იმედი აქვს, რომ ამ მოკლე დროში ამ მხრითაც მოაწესრიგებს საქმეს. წევრთა საერთო რიცხვი 5 ათასამდის აღწევს. შემადგენლობა: ინტერნაციონალური არის და უმთავრესათ დაქირავებულ, შრომის გამყიდველთაგან შესდგება.

(შემდეგი იქნება).

რევოლიუცია პროვინციაში

დ. ხაშური. კვირას, 25 იენისს, დანიშნული იყო კამათი მიწის საკითხის შესახებ. კრება შესდგა 11 საათზე ბაღში, რომელსაც დაესწრო განსაკუთრებით ახლო-მახლო სოფლებიდან მოწვეული გლეხობა.

თავმჯდომარედ აირჩიეს თეიმურაზ ჭუმბურიძე, რომელმაც გააცნო დამსწრეთ კრების მოწვევის მიზანი, შემდეგ მოხსენებას კითხულობს მიწის საკითხის შესახებ ნ. იმნაიშვილი. მომხსენებელი შეეხო უმთავრესად ორ გზას: პირველი, გლეხთა განთავისუფლების შემდეგ. აღნიშნა, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდა გლეხობა განთავისუფლების შემდეგ, უმთავრესი ყურადღება მომხსენებელმა მიაქცია საწარმოვო ძალთა განუვითარებლობას და დაასახელა ამის უმთავრესი მიზეზები. მოიყვანა აგრეთვე სტატისტიკურ ცნობები. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი.

ილაპარაკა მაჭავარიანმა. შემდეგ ჭუმბაძემ.

ხალხი პოეტიურად თქმულ სიტყვებს აღტაცებით უსმენდა და ტაშის ცემით აჯილდოვებდა, მაგრამ, როდესაც ის ზევიდან დაბლა ცოდვილ მიწაზე ჩამოვიდა და მიმართა გლეხობას, რომ ჩვენ ს. ფ.-ბი ვთხოულობთ კერძო საკუთრების მოსპობასო, მაშინ კი შენს მტერს ჩვენი ორატორი რომ დაერთხაო. გლეხობამ მოითხოვა გაჩერებულიყო ის. ორატორმა ამით დაათავა თავისი სიტყვა:

„ს. დ—ბს თქვენ მრუდე გზით. მიყვებართ და მართალის მთქმელი კი (ს. ფ.) არ გინდათ დაუჯეროთო". შემდეგ ილაპარაკა ალ. მდივანმა.

დასასრულ ყველა მათგანს პასუხი გასცა მომხსენებელმა.

გლეხობამ მადლობა გადაუხადა მომხსენებელს. ვ. მანელი.

ქ. ალექსანდროპოლი. 3 ივლის ინჩაკისტების კანტორასთან. თავი მოიყარა ბრბომ და გაიძახოდნენ: ეს პარტია ძველი მთავრობის პარტიაა და ნიკოლოზის სასარგებლოდ მოქმედებს. ამით უნდოდათ სალდათები აეღელვებინათ და კანტორა დაელეწათ. ამ დროს მოუსწრეთ ჩვენც, მივეცით წინადადება, აგვერჩიათ ხუთი კაცი,—კანტორა გაჩხრიკეთ თუ რამე ისეთი აღმოჩნდება, მაშინ დავსაჯოთო. ამან იმოქმედა მათზე და აირჩიეს კომისია. გაჩხრიკეს კანტორა, მაგრამ როგორც მოსალოდნელი იყო, საეჭვო არაფერი არ აღმოჩნდა. ორი დაშნაკელი ამის შემდეგ მაინც იძახოდა: სომხებში ორი პარტიის არ გვინდაო, მაგრამ ვერც ამან გასჭრა. დემოკრატიულება გამოფხიზლებულია. პარმენ მიქაძე.

ქ. ერივანი. 26 იენისს გვესტუმრა მუსულმანთა ყრილობის და სრულიად რუსეთის მუსულმანთა დროებითი სამხედრო საბჭოს საგანგებო დელეგაცია და აგრეთვე დელეგაცია სომხის სოციალისტურ პარტიებისა და კავკასიის ჯარის საოლქო საბჭოს წარმომადგენლის. დელეგაციის მიზანია ნაციონალური შუღლი, რომელიც სომხებს და თათრებს შორის არის [illegible].

27 იენისს ქალაქის თვითმართველობის დარბაზის წინ ჯარისკაცთა საბჭოს თაოსნობით გაიმართა მიტინგი მოქალაქეთა და ადგილობრივ გარნიზონისა. მიტინგი გახსნა ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. სტარცევმა.

პირველად ილაპარაკა მუსულმანთა ყრილობის წარმომადგენელმა. მან სთქვა: ჩვენამდი მოაღწია დიდათ დამაღონებელმა ამბავმა, რომ ერევნის გუბერნიაში ნაციონალურ ნიადაგზე ექსცესებს აქვთ ადგილი, რაც, თუ დროზე არ მიექცა სათანადო ყურადღება, საშიშ მომავალს გვიქადისო.

ამის შემდეგ ილაპარაკა სომხის სოციალისტ-რევოლიუციონერთა წარმომადგენელმა და კავკასიის ჯარის საოლქო საბჭოს წარმომადგენელმა და მოუწოდა მოქალაქეთ ენერგიული მონაწილეობა მიიღონ საქალაქო არჩევნებში და ნაციონალისტთა კანდიდატებს დაუპირდაპირონ დემოკრატიის ინტერესების ჭეშმარიტი დამცველები.

შემდეგ ილაპარაკა სოციალ დემოკრატების მხრით ამხ. გოგუაძემ. მან აღნიშნა, რომ რევოლიუციას ჯერ კიდევ დიდი საფრთხე მოელის და ამიტომ ყოველი გამოსვლა, თუნდაც ორგანიზაციულათ, ეროვნული მოთხოვნილების წამოსაყენებლათ დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ასუსტებს რევოლიუციას და ნიადაგს უმზადებს კონტრ-რევოლიუციასო.

ილაპარაკეს აგრეთვე მუსულმანთა წარმომადგენელმა თათრულ ენაზე და დაშნაკელებმა სომხურზე და სხვა ჯგუფების წარმომადგენლებმა. ნ. ვაგზალელი.

პროვინციის ცხოვრება.

სოფ. აბაშა. რევოლიუციამ ყველგან რამე ცვლილება შეიტანა. აბაშაში ვერაფერს ვხედავთ. ამდენი ხნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ მოხდა ყრილობა ისიც გლდანზე, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არ დაესწრო. ეს იყო და ეს. ამის შემდეგ აქ სალაპარაკოთ კაცი არ მოსულა.

სოფლის მეთაურებათ მოჰყვნენ ისეთი ხალხი, რომლებსაც ნაკლებათ აინტერესებთ მცხოვრებთა მდგომარეობა.

პირველ ხანებში თითქოს კიდეც „რევოლიუციონერობას" იჩენდნენ, წესრიგს იცავდნენ. ვინც მოიტანდა ღვინოს ან სხვა სასმელს არ აყიდინებდნენ. ზოგჯერ გადაღვრასაც არ ერიდებოდნენ. ეს მაშინ, როცა საჭირო იყო ხალხის გულის მოგება და ვითომდა „რევოლიუციონერობა".

დღეს სულ სხვაა. არავითარი წესრიგი, როგორც ადმინისტრატიული, ისე ეკონომიური. სასმელს არ ჰკრძალავენ. მართალია გარეგნულათ აკრძალულია, მაგრამ საქმით ხელს უწყობენ და თითონაც სხვებთან ერთად სხედან დუქნებში და ჩუმათ შეექცევიან ღვინოს. ამის მაგალითი ამ ორ დღეში მოხდარი ამბავია. ერთი მილიციონერთაგანი დუქანში ისე დამთვრალა რომ თოფი არ იცის ვის მისცა, წაართვა ვინმემ თუ დაკარგა. ეხლა კი ქუდ-მოგლეჯილები დარბიან საპოვნელად.

არც თუ მცხოვრებლებს უკრძალავენ სასმელის გაყიდვას. იმ დროს, როდესაც თფილისში ღვინო სანთლით საძებნელია „ზიმაჰური" ხალხისთვის აბაშაში ვედრობით მოაქვთ. ღვინის აწეველებს არაყსაც. არაყის გასაღებაში ავეჯილი ქალი და კაცი მეტად დახელოვნებულა. თუ გაგიხსენებთ რომ სამი-აბაშაში თითქმის ეს ორი-სამი თვეა, რაც ჯარისკაცები იმყოფებიან და მათ ისეთაც ადვილათ წახსნილ მოქმედებას არაყი და სასმელი ერთი ათად აძლევენ.

მთვრალ ჯარისკაცებს დიდი და პატარა აღარ გაიჩნიათ. ბაღებში ხომ თავისუფლათ დაბრძანდებიან და ანადგურებენ ხილს და ბოსტნეულობას, რაც უკაცოდ დარჩენილ ოჯახითათვის საცხოვრებელ წყაროს წარმოადგენს. ასეთ დროს სასმლის გაყიდვა ცეცხლზე ნავთის დასხმას უდრის.

არ აქცევენ ყურადღებას აგრეთვე ახლომახლო სოფლებიდან შემოტანილ სანოვაგის ყველას მიერ თანასწორად ყიდვას. შემოაქვთ ერბო, ყველი, კარაქი და სხვა. მაგრამ სოფლის თავზე უწევებიან დიდებული მცხოვრებნი და ნაცვე უყიდულობენ ფუთობით. ღარიბ მცხოვრებზე კი გირვანქობით არ აყიდინებენ. შემდეგ თითონ ან თფილისში მიაქვთ და ერთი სამად ყიდიან ყველაფერს ან მოიტა და იქვე ოჯახებში მართავენ საჭმელებს და ორი თქმა უნდა გაცილებით მეტ ფასებში ყიდიან ვიდრე შემოიტანეს.

ამის მიზეზია, რომ თითქმის ყველა ოჯახი დუქნათ არის გადაქცეული და ისედაც ამ სასოფლო სიძვირეს უფრო საგრძნობი ხდიან. ყოველივე ამის მოსპობა ადვილათ შეეძლება თუ კი ადგილობრივი „მოინტელიგენტო მეთაურები" ყურადღებას მიაქცევენ და საქმის გაკეთებაში „ნათლიმამობას" ადგილი არ ექნება.

საჭიროა აბაშაში გაიმართოს მიტინგი და ფართე მასას აუხსნან და გააგებინონ მომენტის მნიშვნელობა. დაგმონ და აკრძალონ ოჯახებში და განსაკუთრებით დუქნებში სასმელით ვაჭრობა და სხვა. ალ. ჩიგაძე.

ხად. ნახიჩევანი. (ერევ. გუბ.) რკინის გზის ყოფილი მოიჯარადრე ბ. პავლე გოგლიძე ცხოვრობს ნახიჩევანს. 1906 წ. მის ბედზე ამ დროს მოხდა სომხ-თათართა შეტაკება, რომლითაც მან ისარგებლა—ფულები გაუჩნდა და ხელი მიჰყო რკინის გზის საქმეს. 1908 წ. ბ. გოგლიძე ამხანაგებმა გაგზავნეს თფილისში მასალების მოსატანათ. სამუშაოთ ამხანაგებისათვის ვიღაცამ ჯიბგირობით ამოაცალეს მას 1600 მან. ცოტა ხნის შემდეგ ბ. გოგლიძეს ეწვია ქუთაისიდგან ვიღაც ჯანქოსია, რომელსაც 100 მანეთი ემართა გოგლიძის. ცოტა ხნის განმავლობაში ჯანქოსია ციებათ ავათ გახდა. გოგლიძემ ფეთიაქრიდან ქინა-ქინა მოუტანინა. ფეთიაქარს შეეცვალა და ქინა-ქინის მაგიერ საწამლავი დაალევინა. იმ წამსვე ძირს დაეცა. დაავლეს ხელი იქ მაყურებელმა ხალხმა და მიიყვანეს რკინის გზის ექიმთან რომელმაც დიდი შრომის შემდეგ ცოტა დროით მოუბრუნა სული. გაგზავნეს სოფელში და იქ გარდაიცვალა. რასაკვირველია, გოგლიძე დაიჭირეს და ჩასვეს ციხეში, საიდანაც რაღაც მანქანებით გაათავისუფლეს. ბ. გოგლიძე ქირაობდა მუშებს რკინ. გზის საქმეზე და როცა მუშები თავის ნაშრომის ფულს მოსთხოვდენ უპასუხებდა, როდესაც მე ამ საქმეს მოვრჩები და რკინის გზა მიიღებს მეც მაშინ მოგცემ ფულსო. წლიწადი მაინც უნდა ეცადათ მუშებს სანამ ბ. გოგლიძე იხებებდა ფულის მიცემას. ამ ბოლო დროს გავრცელდა ხმა: ნება მაქვს მივიღო ასი კაციო რკინის გზის სამუშაოზე და სამხედრო სამსახურიდანაც ვიხსნიო. არ ირწმუნებდა ხალხი. და ასეთი ხრიკებით ზოგს ასი მან. და მეტიც გამოართვა ერთს 800 მ. გიხსნიო ვერც სამხედრო სამსახურიდან იხსნა და ფულიც აღარავის დაუბრუნა. 1916 წ. ქრისტეშობისთვეში მოიქრთამა რკინის გზის მეეზოვე დგალილა ისმაილ ოღლი, დაარიგა სამუშაოს დარაჯი მათე წყაროუაშვილი და გაცარცვა სამუშაო, გაიტანეს (40) კონა მავთული წონით 180 ფუთი. თვით ჟანდარმამ დაიჭირა დგალილ ისმაილ-ოღლი მავთულს რომ ეზიდებოდა და ბ. გოგლიძეს კი გაასწრო. მივარდა სად. ნახიჩევანში, დაიჭირა მატარებელს და გაიქცა სოფლისკენ, მაგრამ როდესაც ამხანაგებმა გაიგეს დეპეშით აცნობეს ულუხანლოში და დაიჭირეს, მაგრამ მან აქაც გაახერხა ქრთამებით საქმის მოგვარება. ორი თვის შემდეგ გამოუშვეს. ბ. გოგლიძე კიდევ მოიჯარადრეთ არის. ვაფრთხილებთ ამხანაგებს არ წამოეგონ მის ანკესზე.

ერმილე ცომაია.

აზარბაქი წოლვარი. შიმშილის აჩრდილი დღეს მთელ რუსეთის ხალხს აშინებს და რა გასაკვირია, რომ წოლვერის მოიჯარადრე და მცხოვრებლებსაც ძალა უფრთხობდეს ის.— „პური ორი დღეს გვეყოფა, ხოლოდ, ბორჯომიდან არ გვიგზავნიანო და სხვა, ვესმის საზოგადო კრებაზე კომიტეტის წევრის მოხსენება. ირკვევა, რომ ბორჯომის კომიტეტი მართლაც ვერ ანაწილებს რიგიანად სანოვაგეს. წოლვერისათვის გამოგზავნილი ერთი ვაგონი პურის ფქვილის მაგიერ გამოგზავნეს 15 20 ცალი. ბაკურიანმა, ცემმა და წოლვერის მცხოვრებლებმა ითხოვეს ამის გამო ამ სამი აგარაკისთვის ცალკე ერთი სასურსათო პუნქტი ყოფილიყო, მაგრამ საგუბერნიო სასურსათო კომიტეტიდან ამაზე უარი მიიღო. კრებამ ერთხმათ სთხოვა დასასვენებლათ წოლვერში ჩამოსულ საგუბერნიო კომისარს ნოე რამიშვილს (რომელიც საპატიო თავმჯდომარეთ აირჩიეს) დახმარებოდა. ასე რომ, ზომები მიღებულია ფქვილის შესაძენათ, მაგრამ დროზე მოესწრება ის ხალხს თუ არა, არავინ იცის ადგილობრივი კომიტეტი, რომელიც არჩეულია როგორც მოიჯარადრეთაგან, ისე მცხოვრებლებიდან ვერ აწესრიგებს საქმეს. ნიხრიც კი ვერ გააკრა თავის დროზე, რის გამო სანოვაგეს, ვისაც როგორც უნდა ისე ყიდის. რძე ორი აბაზის მაგიერ ოთხი აბაზია, ისიც წყლიანი. კრებამ უკანასკნელათ შეიმუშავა ნიხრი და გადაწყვიტა მისი განხორციელება. ვინც დაარღვევს მას—მკვლეველი იქნება ის თუ გამყიდველი, უნდა დაიჯარიმონ. ამისათვის აირჩიეს თვალ-ყურის მდევნელი კომისია.

ლია.

გაზეთის სასარგებლოთ.

რედაქციამ მიიღო 48 მან. ეს ფული შეაგროვეს მე 17 კავკასიის მუშათა ბატალიონის მე 6 როტის ქართველთა შორის. შემომწირველთა სია არ იბეჭდება.

ლევან თიკანაძე.

გიგზავნით ამხანაგ პირველ მაისს შეგროვილს პრესის სასარგებლოთ ამილეების საზოგადოებაში (გურია) ოცდა თერთმეტ მანეთს და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

ამილეების საზოგად. ს. დ. პ. კოლექტივი.

წერილები რედაქციის მიმართ.

ახალდაბა (სად. სუმბათოვი). სუმბათოვის საზოგადოება შედგება: ახალდაბისაგან ხუთი მეზობელ სოფლიდან. ამ სოფლის მცხოვრებლებმა 1915 წ. 18 დეკემბერს დაარსეს სუმბათოვის საზოგადოების მომხმარებელი დუქანი „იმედი". დაარსების დღიდან საზოგადოება ნდობის თვალით შესცქეროდა, დღითი დღე ელოდენ მის გაფართოებას, აყვავებას, ჩარჩ-ბაყალებისაგან თავის ახსნას. ეს იმედი გამართლდა. ამის დასამოწმებლად მოწვეულ იყო საზოგადო კრება წარსულ ამა თვის ივნისის 11-სა დღეს; ამ კრებაზე აღმოჩნდა, რომ დაარსების დღიდგან წელიწადნახევრის განმავლობაში დუქნის მოგება იყო ხუთი ათასი მანეთამდის. ასეთი ერთგულ ხელმძღვანელობისათვის, დაუღალავი უფასო შრომისათვის და სინდისიერ მოქმედებისათვის საზოგადოებამ დიდი მადლობა უძღვნა გამგეობას.

ამასთანავე არ შეიძლება საზოგადოებამ არ აღნიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც მოხდა ასე უფროვათ საერთო დუქნის ანგარიში. დაარსების დღიდან ხსენებულ კოოპერატივს ჰყავდა და ჰყავს დაუძინებელი მტერი ვაჭარი ნიკოლოზ იოსების ძე აბრამაშვილი; მან დიდი წინააღმდეგობა გაუწია საერთო დუქანს დაარსების დროს და დღესაც ცდილობს თაც კი შეეძლება როგორმე მოისპოს იგი და თვითონ განაგრძოს ვაჭრობა. მაგრამ საზოგადოებას ყოველივე მისი მოქმედება უკვე გათვალისწინებული აქვს და უნდობის თვალით უყურებს, ვინაიდან მას მრავალი დანაშაულობა მიუძღვის საზოგადოების წინაშე. მაგალითებრ: მან გასტეხა წარსულ ხანებში მაკარსკის და შიშინოვის სახლები და გამოიტანა ნივთები. თედორე ბლიაძე დაბეზღებით არყის გამო სამი თვე ჩააჯინა ციხეში, წარსულ წელს თავისი სავაჭრო დუქანი თვითონვე გასტეხა და ცილი კი დასწამა ზურაბა არბოლიშვილს და რკინის გზის დარაჯს ივანე ჯურაშვილს, რომლებიც გაჩხრეკილი იყვნენ, მაგრამ როგორც მართლები არაფერი აღმოჩენიათ ნაქურდალი; როგორც მოუსვენარი ბოროტი კაცი, მან სხვათა შორის წარსულ წელს ცილი დასწამა გამგეობის წევრს აბრამ ს. ხაიმჩიკს, რომელმაც თავი დაანება კოოპერატივში მუშაობას და მეორე გამგეობის წევრზე მღვდელზე ჭორი გაავრცელა. ამგვარით მას კოოპერატივის დუქნის დამხობა უნდოდა და თავის ვაჭრობის გაძლიერება, მაგრამ ამის შესახებ ერთ კვირა დღეს მოხდა საზოგადო კრება და კრებამ გაძევა ის საზოგადოებიდან როგორც მავნე კაცი.

ნიკოლოზ აბრამაშვილი რომ მტერია კოოპერატივის დუქნისა და მთელი საზოგადოებისა, ეს იქიდან სჩანს, რომ თავისი შვილი გიორგიც კი ამხედრა კოოპერატივის წინააღმდეგ და გაზეთის საშუალებით ავრცელებს ჭორებს სახელდობრ, „ერთობის" მე-№№ 50 55 ამას წინათ მოკლე შენიშვნა იყო დაბეჭდილი ს. ახალდაბიდან და ცხრამუხიდან ჩვენ მღვდლის შესახებ, ვითომც მრევლმა იგი გადააყენაო, ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია, ვინაიდან მღვდელი ტ. ვეფხვაძე არც გადაუყენებიათ, არც გაუჩხრეკიათ და არც ნაქურდალი ტყავები ქონებია მას. მღვდელი სუმბათოვის კოოპერატივის წევრია; რომ მღვდლისთვის ევნო რამე, მან აი რა ხერხი იხმარა: კოოპერატივის სახარაზოს გამგეს, თავის ნათესავს, ათქმევია: ტყავი დავკარგეო და ვინაიდან მღვდელი ხშირად დაიარებოდა კოოპერატივში, უსაფუძვლოთ გაავრცელეს ხმა ვითომ მღვდელმა ტყავი მოიპაროო. მთელი საზოგადოება მღ. ტ. ვეფხვაძეს გმადლობელია და პატივსა სცემს და კოოპერატივის დუქანსაც სინდისიერ ხელმძღვანელობას უწევს. მხოლოდ ის პირნი, რომელნიც გაზეთის საშუალებით კოოპერატივის დუქნის შესახებ სწერენ—სიცრუეს.

წერილზე ხელს აწერს 40 კაცი
და ად. კომიტ. ადასტურებს.

მადლობას უცხადებთ ელენე ათანასე ნინიძის ასულს, რომელმაც შეაგროვა ქ. თფილისში თავის ნაცნობ მეგობრებში 20 მან. და 60 კაპ. და აგრეთვე მრავალი წიგნები და გამოუგზავნა ამკანის სამკითხველოსათვის. ასეთსავე მადლობას ვსწირავთ ბ. სილევან ვასაძეს, რომელმაც სადგურ აქსტაფაში შეაგროვა 50 მან. და 50 კაპ. და აგრეთვე მადლობა ბ. ბ. ანტონ და თევდორე ხიტირს, რომლებმაც დის ელისაბედის სხოვნის აღსანიშნავათ შემოსწირეს ათი მან.

აგრეთვე ბ. დომენტი ივანეს ძე მეფენაძეს, რომელმაც ქ. ბათუმში, თავის ნაცნობ მეგობრებში შეაგროვა და გამოუგზავნა ჩიხისჯვარის ფრესის სახალხო სამკითხველოსათვის 72 მანეთი და ათი შაური. მადლობა შემომწირველებს.

სამკით. მოლარე მღ. ერმოლოზ ჯაველიძე.

„ერთობის" № 74 იყო მოთავსებული ჩემს შესახებ წერილი. ჩემი მოწინააღმდეგენი ბოროტად მიცხადებენ და მიზეზს კი არ ასახელებენ. საქმის გამოსარკვევათ ვიწვევ მათ სამ. სამართალში. მედიატორებათ ვასახელებ სისო ირემაშვილს და ვანო გურულს- საქმე უნდა გაირჩეს ამ ათ დღეში.

ნიკოლოზ ჩოდრიშვილი.

ლანჩხუთი. მადლობას უცხადებთ ლანჩხუთის მცხოვრებს მიხეილ მაქსიმეს ძე [illegible], რომელმაც ჩვენი ფადავლებიდან ქ. ბათუმში შეაგროვა თავის ნაცნობთა და ნათესავებთა შორის 36 მან. და 60 კაპ. ლანჩხუთის ნათლის მცემლის სახალხო წიგნთ საცავ სამკითხველოსათვის და აგრეთვე იმ პირთაც, ვინც შემოწირულება გამოიღეს.

გამგეობა.

მადლობას უცხადებთ სერგო და ალექსანდრე კაკაბაძეებს, რომლებმაც შემოსწირეს გომის რაიონის რუს სოც. დემ. მუშ. პარტ. ორგანიზაციას 25 მან.

მადლობას უცხადებთ აგრეთვე ვასილ ედიშერის ძე ბაგრატიონს, რომელმაც შემოსწირა გომის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტი ორგანიზაციას 100 მან.

გომის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ვ. გოგუა.

„ერთობის" 85 ნომერში მოთავსებულია წერილი „ჯიბგირი კონდუქტორი". ჩვენ გვეტყობინებენ ყარსის მატარებელში მგზავრობის დროს ჯარისკაც ალიბაბოვისათვის ჯიბე მოუჭრია ამავე მატარებლის კანდუქტორს. ამგვარ საზიზღარ მოვლენას მე არ მსურს ხელი დავფარო, მაგრამ არ შემიძლია არ მოვაგონო კორესპონდენტს დღევანდელი დრო. ბევრი ბევრია გადაცმული რკინის გზის ფორმაში და სხვადასხვა მიზნით. ვთხოვთ კორესპონდენტს გვაცნობოს ჯიბგირის ვინაობა, ან და ის სადგური, სადაც ეს ამბავი მოხდა. ხსენებული მატარებელი თფილისიდან სარიყამიშამდი მიდის, კანდუქტორთა ბრიგადა კი იცვლება ალექსანდროპოლში.

თფილ. კან. კომიტ. წევრი ნ. გორგლიშვილი.

მადლობას უცხადებთ მაიკო და თედორე ცხომელიძეებს, რომლებმაც თავიანთ ნაცნობებში შეაგროვეს და გადმოგვცეს ასი მან. ბასილეთის სამკითხველოს სასარგებლოდ.

თავმჯდ. სილიბისტრო ჯაში.

პირველ აპრილს, ღამის ათ საათზე ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვტაცა განათლებული ქართველი მოხუცებული ფილიპე ივანეს ძე დევდარიანი. ვაუწყებთ ამას ირკუტსკის გუბ. ტაიგის ქართველები როგორც ახლო ნათესავებს, ისე ამხ. მეზობლებს.

ბიქტორ გამსახურდიას.

სოფ. ზვარეში (შორაპნის მაზრა) სცხოვრობს ერთი უმწეო წვრილშვილიანი ქვრივი კურტანიძისა, რომელსაც არავითარი ცხოვრების სახსარი არ აქვს და არც გულშემატკივარი ვინმე მოეპოვება. ზოგჯერ გვხდი მოწამე იმისა, რომ შიმშილისაგან გამხდარ ბავშვები ხის ფოთლებს სჭამდენ. შემოწირულების გამოგზავნა შეიძლება შემდეგი ადრესით: Ст. Молита Ксеніи Захаріевнѣ Цицкишвили.

ცნობები

ჯარის კაცების შესახებ.

ს. ვახანში მცხოვრები იაკინთე გიორგის ძე გუდაძე მსახურობდა მე-204 არდაგან-მიხაილოვსკის პოლკში მე 2 კავკასიის ჯარში, მე-9 როტაში. თუ ვინმემ იცით გთხოვთ გვაცნობოთ: სადგ. ნახიჩევანი, ერევნის გუბ., ს. თ. ჭურთქმელიძე.

— ჯარისკაცი კონსტანტინე ივანეს ძე ტუღუში მსახურობდა კავკასიის მუშათა ბათალიონში, მე 8 როტაში მე-2 ვზვოდში. თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობეთ შემდეგი მისამართით: სადგ. ჯუმათი, ერმოლოზ ტუღუში.

— აბესალომ ქათამაძე მსახურობდა ჩვენთან ერთად. 1916 წ. 13 მარიამობისთვეს, საღამოს 8 საათზე ჩვენ უკან დახევა მოგვიხდა ერთ გორაზე. აბესალომ ქათამაძეს მოხვდა ზარბაზნის ტყვია და იქვე გარდაიცვალა. ჩემი მისამართი: კავკასიის ჯარი, 296 სტავროპოლის ფეხოსანთა პოლკი, მე-10 როტა, ეფრემ ვედლაბნოვი.

ჩვენი ფოსტა.

ერმილე ჩხეიძეს. ნოე ხომერიკი მძიმე ავათაა. ამ ჟამათ ის აგარაკზეა—აბასთუმანში.

ხარაგ. სიმონ გიორგაძეს. გაზეთი გეგზავნებათ 15 ივნისიდან.

ვიქტორ ხუჩუას. მივიღეთ 36 მ. გთხოვთ შეგვატყობინოთ მისი დანიშნულება.

ი. კახაშვილს. ზაკუსთვზე ბევრი დაიწერა. წერილს ვერ გბეჭდავთ.

გრძელდება ხელის მოწერა 1917 წლისათვის გაზეთ
ერთობა-ზე.
გაზეთი ღირს როგორც თფილისში, ისე პროვინციაში
წლით 20 მ., ნახევარი წლით 11 მ., სამი თვით 6 მ. ერთი თვით 2 მ.
გაზეთის ფასი ხელის მომწერ. წინდაწინ უნდა გადაიხადონ, ნისიათ არავის გაეგზავნება.
ფოსტით ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: ТИФЛИСЪ, ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 199.
თფილისის ხელის მომწერლებმა ფული უნდა შეიტანონ კანტორა „განათლება" ოლღას ქუჩა, № 6.

ქ. თფილისში, ოლღის ქ. № 6, გ.-გაზეთების კანტორა და წიგნის მაღაზია
„განათლება"-ში
ერთობა ყოველგვარი ქართული წიგნები, რომლებიც გამოსულა. მსურველთ ფული გამოგზავნისთანავე.
მიიღება ხელის მოწერა ყველა ადგილობრივ ქართულ-რუსულ გაზეთებზე „ერთობა", „ბორბა", „კავკ. რაბოჩი", „ცნობის ფურცელი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო", ჟურნ. „განათლება", „კავკასიის სიტყვა", „მოამბე", და ყველა ახლად გამოსული წიგნები.
ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: ТИФЛИСЪ ПОЧТОВЫЙ ЯЩИКЪ № 96, СИЛЬВЕСТРУ Р. ТАВАРТКИЛАДЗЕ. ტელეგრამის ადრესი ОЛЬГИНСКАЯ 6. ТАВАРТКИЛАДЗЕ. Телеф. № 3—44.

სწრაფულ-მბეჭდავი სტამბა რუსთაველის გამზირის შესახვევი № 1.